# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 11 მარტი, 2015 წელი.

№45 (7690)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## 21 მარტი, რომელიც მოძალადე, დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!

## გავერთიანდეთ და თავი დავიხსნათ ყალბი, გამოგონილი მეგობრებისგან!

3

ერისა და ბერის საყურადღებოდ!



ქართული ერთობის დარბაზის კონგრესი



დავით საგანელიძე:

## სჯობს, ადგილი ახალ სახეებს დაუთმო

2

## რატომ იწამლებიან ბავშვები საბავშვო ბაღებში?

11

დახურვის საფრთხის წინაშე

## კრიზისი სილამაზის სალონებსაც შეეხო

7

2008 წლის ომის დღეებშიც კი მხოლოდ ერთკვირიანი ჩავარდნა გვქონდა, ახლა კატასტროფული ვითარება გვაქვს

## მერე რას ვშვრებით, შემოჭერილი ქამრები რომ დაწყდეს!



6

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| EUR | 1 | ევრო | 2.3685 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 2.1741 |
| GBP | 1 | დიდი ბრიტანეთის გ/სტ. | 3.2868 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 3.5734 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.0835 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.5379 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 0.9488 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.8375 |

წერილი

## ეს აქვს კადრი ელისაშვილი ალეკო ხან იმ ერთ მეტიჩარა რასმე მაგონებს, კურტუმში რომ არ ეტეოდა...

დაკვირვებული მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომელი, ცოტა არ იყოს, სკაბრეზული ანდაზაა აქ ნაგულისხმევი, რაც იმიტომ მოვიხმეთ, რომ ზუსტად შეესატყვისება თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ალეკო ელისაშვილის ამ ბოლოდროინდელ საქციელს.



ალეკოს ნამდვილად ყოჩაღ ჟურნალისტად იცნობს ჩვენი საზოგადოება ჯერ რადიო „ფორტუნიდან“ და მერე აქუს კერძო „კავკასიიდან“, სადაც ის მართლაც სიტყვას ხშირად მათრახივით მწარედ აშხუილებდა. რაც შეეხება ალეკო დეპუტატს, აქ უკვე, დიდად სამწუხაროდ, აშკარად მეტიჩრულ თუ მატრაკვეცულ ფერისცვალებასთან გვაქვს საქმე...

ჩვენი აზრით, დამოუკიდებელი დეპუტატი, ყოფილი ენამკვირცხლი ჟურნალისტი, ხალხისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას უნდა ეწეოდეს და არა ყოფილი ზონდერი, ახლა კი ვითომ გაადვოკატებული პირწავარდნილი ნაციონალი გიორგი ონიანივით ინტრიგანულად კრიჭაში უდგეს არა მარტო ქალაქის მერს, რომელიც ჯერ ერთი სრული წელიწადიც არ არის, რაც მერობს, არამედ ხან ერთ გამგებელს, ხან მეორეს და უმოწმებდეს, ვინ რა სკამი, მაცივარი თუ ტელევიზორი შეიძინა (კალმისტარზე აღარაფერს ვამბობ!)

ონიანის გარდა, ეს ჩვენი გადეპუტატებული კოლეგა ალეკო ელისაშვილი თავისი არაფრისმთქმელი, ზერელე ინიციატივებით ხან თვით მერად არარჩეულ ნიკა მელიასაც მაგონებს, რომელსაც ჩვენი დედაქალაქი რატომღაც საქათმე ჰგონია, სულ ხვრელის ძებნაშია, საიდანაც უნდა შეძვრეს და, „რუსთავი-2“-ის გარდა, ხან რომელი ტელევიზიის ეკრანიდან გვემელიავება, ხან რომელი...

ასე რომ, ჩვენო ყოფილო ძვირფასო კოლეგავ, გუშინ ჩვენო ალეკო ელისაშვილო, დღეს კი რატომღაც უფრო ნაციონალურად გაოპოზიციონერებულო, ამ ბოლო დროს ბევრის თვალში უფრო მეტიჩარა და მატრაკვეცა ჩანხარ, რაც ძალიან საწყენია შენი ძველი კოლეგებისთვის, ვიდრე ხალხზე ზრუნვით დაღლილი დამოუკიდებელი დეპუტატი, რომელსაც, ჩვენზე კარგად მოგეხსენება, რა მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობაც აკისრია და არა წარამარა ეკრანიდან სკანდალური, ხშირად საბოტაჟური თუ დემაგოგიური განცხადებების ფრქვევა...

რაც შეეხება სიტყვა მეტიჩარას, ის ასეა ჩვენს ლექსიკონებში განმარტებული: არამკითხე, სხვის საქმეში ჩამრევი (ესე იგი, შენი უშუალო საქმე როცა აღარ გახსოვს!), საკუთარი თავის მოყვარული, — მატრაკვეცა. მეტიჩრის ცხადსაყოფად კი ასეთი მაგალითებია მოყვანილი: „რას მარგებს მეტიჩარობა, ღობე-ყორეთა მოდება“! (ვაჟა). „იმას ამოქმედებს რწმენა კი არა... არამედ მეტიჩარობა (ილია). დაბოლოს,— „ვარ კარგი მახარობელი და არა მეტიჩარაო!“ (აკაკი).

სწორედ ამიტომაც ჩვენი სურვილია, ყოფილო ჟურნალისტო და ამჟამად დეპუტატო, რომ შენც შენი დეპუტატობის ვადაში მხოლოდ ჩვენი ქალაქის კეთილდღეობის რწმენა გამოქმედებდეს, კარგი მახარობელი იყო და არა მელიასავით თუ ონიანივით ანდა საკრებულოს სუპერნაციონალი დეპუტატის ირაკლი აბესაძისნაირი დემაგოგი არამკითხე.

**არამკითხეს ბედი კი უნდა მოგეხსენებოდეს: არამკითხე მოამბეო მიტყიპე და მიაგდეო.**

**არადა, შენს ყოფილ კოლეგებს ნამდვილად არ გვინდა, რომ საბოლოოდ მიტყეპილი და მიგდებული გნახოთ.**

შენი კეთილისმსურველი
**გურამ წიკლაური**

# კონსტიტუციის მიხედვით მთავრობა ვალდებულია, პარლამენტის სხდომას დაესწროს



**როგორც კონსტიტუციის 59-ე მუხლის მეორე პუნქტში წერია, პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.**

კონსტიტუციის მე-60 მუხლის მეორე პუნქტში კი ნათქვამია, რომ მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

პრეზიდენტმა პარლამენტის წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით, როგორც ამას ასევე კონსტიტუცია და რეგლამენტი ითვალისწინებს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნა. რიგგარეშე სხდომა განსაზღვრული დღის წესრიგით უნდა ჩატარდეს და მის ამოწურვისთანავე დაიხუროს.

პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 13 მარტს, 12:00 საათისთვის დაინიშნა. განკარგულების მიხედვით, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განსახილველი საკითხია: ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის სტაბილიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები.

# თეა წულუკიანი: ირანის ელჩთან შეხვედრაზე ითქვა, რომ საელჩოს განცხადება ორიგინალში განსხვავებულად გამოიყურება

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი თეა წულუკიანი ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს შეხვდა.

**„თეა წულუკიანმა და აბას ტალებიფარმა 2013 წლის 1 სექტემბრის შემდგომ ირანის მოქალაქეებზე გაცემულ ბინადრობის მოწმობებზე, სამუშაო და სასწავლო ვიზებზე ისაუბრეს და სამომავლო ურთიერთობის საკითხები განიხილეს“,** — ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც იუსტიციის მინისტრმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, საუბრის ძირითადი თემა საელჩოს გუშინწინდელი განცხადება არ ყოფილა.



**„დღეს შეხვედრაზე მე მოვიწვიე ბატონი ირანის ელჩი. ჩემი ინტერესის საგანი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ირანის საელჩოს გუშინდელი განცხადება. ამაზე, ალბათ, თავად საელჩო ისაუბრებს. შეხვედრაზე აღინიშნა მხოლოდ ის, რომ ორიგინალში განცხადება განსხვავებულად გამოიყურება, ვიდრე ქართულად. ჩვენი ინტერესის მთავარი საგანი დღეს იყო ის ორასამდე შრომითი ბინადრობა, რომლებიც გაიცა იუსტიციის სამინისტროს მიერ ირანის მოქალაქეებზე 1 სექტემბრიდან, ეს არის 2600-ზე მეტი ვიზა. ეს მუშაობა გაგრძელდება, რადგან ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა დგას ყველაფერზე მაღლა“,** — განაცხადა წულუკიანმა.

საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს პრესსამსახურმა შაბათს განცხადება გაავრცელა, სადაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებას „არამეგობრულს“ უწოდებს.

**„ორიოდე გონივრული სიტყვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ქ-ნ თეა წულუკიანის არაკვალიფიციურ და გაუაზრებელ განცხადებასთან დაკავშირებით ირანელებისა და ირანის მოქალაქეების შესახებ: 1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, ირანი, რომელსაც სამიათასწლიანი ბრწყინვალე ცივილიზაციის ისტორია აქვს და გამორჩეული ადგილი ეკავა და უკავია მსოფლიოში, ყოველთვის საქართველოს გვერდით იყო. ირანი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა, და ბოლო 33 წლის განმავლობაში ყოველგვარი სირთულეებისა და გამოწვევების დროს საქართველოს უჭერდა მხარს.**

**ისტორიის მანძილზე, ირანელებს, რომლებიც გონიერი და მაღალი კულტურის ხალხია, სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც კი უწევდათ ცხოვრება, ემსახურებოდნენ იმ ქვეყნის აღმშენებლობას, წარმატებებსა და კეთილდღეობას. ამრიგად, ირანელი ინვესტორებისა და ტურისტებისათვის დაწესებული შეზღუდვები შეიძლება, მივიჩნიოთ საქართველოს მიერ ირანელი მეგობრების ცოდნის, კაპიტალისა და ღირებული სამსახურის დაკარგვად; ამასთან, ეს გავლენას ვერ მოახდენს მსოფლიოს ხალხთა შორის არსებულ ურთიერთობებზე, მიუხედავად ზოგიერთების რასისტული და ქსენოფობიური მოსაზრებებისა“,** — ნათქვამია განცხადებაში, რომლის ქართული ვერსიაც თავად ირანის საელჩომ გაავრცელა.

თეა წულუკიანმა 18 თებერვალს, ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ქრონიკაში“ განაცხადა, რომ სავიზო პოლიტიკის გამკაცრება ეს იყო მასშტაბური რეფორმა და არც ერთი მასშტაბური რეფორმა არ არის უხარვეზო ან უმტკივნეულო ყველასთვის.

**— მასშტაბური რეფორმით ყველა ბედნიერი ვერ იქნება. ვინ ვერ არის ბედნიერი? ვერ არის, მაგალითად, ბედნიერი ტურიზმის სააგენტო..... 2014 წლის 1 სექტემბერს, როდესაც ეს რეფორმა შევიდა ძალაში, ბოლო 4 თვის განმავლობაში გამოიწვია ჩვენი ტურისტების ნაკადის 42 ათასი ადამიანით შემცირება: ჩინელების, ერაყელების, ირანელების და ეგვიპტელების,** — განაცხადა წულუკიანმა.

## ალიან-ჩალიანი

### პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარს აცხადებენ

საპარლამენტო უმრავლესობის პრეზიდენტთან გუშინ დაგეგმილი შეხვედრა გადაიდო, — ამის შესახებ ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძემ განაცხადა.

თოფაძის განმარტებით, უმრავლესობის პრეზიდენტთან შეხვედრის გადადების მიზეზი ის არის, რომ მან პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნა და შესაბამისი სამართლებრივი აქტი პარლამენტმა უკვე მიიღო.

„უმრავლესობის მხრიდან იყო მოსაზრება იმისა, რომ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა არ გამართულიყო. თუმცა, რიგგარეშე სხდომა პრეზიდენტმა დანიშნა, ამის გამო ჩვენ თავს ვიკავებთ შეხვედრისგან“, — განუცხადა გოგი თოფაძემ.

საქართველოს პრეზიდენტისა და უმრავლესობის წევრების შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში გუშინ 13 საათისთვის იყო დანიშნული. შეხვედრის თემა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება იყო.

საპარლამენტო უმრავლესობის ინფორმაციით საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან დაგეგმილი შეხვედრა მხარეების ურთიერთშეთანხმებით გადაიდო.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურმა უმრავლესობის განცხადება გაავრცელა.

„საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციების ხელმძღვანელებს შორის დაგეგმილი შეხვედრა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებთან დაკავშირებით მხარეების ურთიერთშეთანხმებით გადაიდო“, — აღნიშნულია განცხადებაში.

### ზურაბ ტყემალაძე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არასწორს და არაკორექტულს უწოდებს

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის ხელმძღვანელი ზურაბ ტყემალაძე 13 მარტისთვის პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დანიშვნის თაობაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არასწორს და არაკორექტულს უწოდებს.

როგორც პარლამენტარი განმარტავს, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ ქვეყანაში შექმნილ ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, 13 მარტისთვის დანიშნული იყო კომიტეტის სხდომა, სადაც მოწვეული არიან მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლები.

კითხვაზე, 13 მარტისთვის შედგება თუ არა კომიტეტის სხდომა, თუ მოსალოდნელია რიგგარეშე სხდომის ფორმატში მინისტრებთან შეხვედრა, ზურაბ ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით, პარლამენტში კონსულტაციები გაიმართება.

ამასთან, პარლამენტარის ცნობით, 13 მარტისთვის კომიტეტის სხდომაზე იგეგმება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოსმენაც.

### კირკიტაძემ ჩვენების მიცემაზე უარი თქვა



ქვემო ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ ჩვენების მიცემაზე უარი თქვა, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განუცხადეს.

უწყების ცნობით, უარის თქმის შემდეგ, ბრალდებულმა საგამოძიებო სამსახური დატოვა.

კირკიტაძე ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, საგამოძიებო სამსახურში გუშინ, 15 საათისთვის დაიბარეს. ბრალდებული უწყებაში ადვოკატთან ერთად მივიდა. მან შეხვედრამდე მედიასთან კომენტარიც გააკეთა.

როგორც კირკიტაძემ აღნიშნა, ბრალდება, რომელსაც მას უყენებენ, უსაფუძვლოა.

„ნაცვლად იმისა, რომ ეს სახელმწიფო სტრუქტურა, როგორც სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, დაკავებული იყოს, რათა უმძიმესი ყოფა შეუმსუბუქოს ხალხს, რომელიც საკუთარი უნიათობით შეუქმნეს, გადასულია პოლიტიკურ დევნაზე და სისულელეებზე. ეს არის რეალობა და 21-ში ყველას ვეპატიჟები, რათა შევცვალოთ ეს ადამიანები“, — განაცხადა დავით კირკიტაძემ საგამოძიებო უწყებაში შესვლამდე.

ყოფილ გუბერნატორს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან. ბრალის წარდგენის დროს, კირკიტაძე აშშ-ში იმყოფებოდა. მას სასამართლომ 10-ათასლარიანი გირაო შეუფარდა.

## საპარლამენტო უმრავლესობა

# „სჯობს, ადგილი ახალ

**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე აცხადებს, რომ მომავალი მოწვევის დეპუტატი აღარ იქნება, ამჟამინდელი შემადგენლობიდან კი, ზოგ დეპუტატს პოლიტიკიდან წასვლა მოუწევს, ზოგი სამთავრობო სტრუქტურაში გადავა, ზოგი რეგიონებში წავა და ზოგი თავის პროფესიას დაუბრუნდება. კანონმდებელი ამბობს, რომ ის საკუთარ ადგილს ახალ სახეებს დაუთმობს, მომავალ პარლამენტში მოხვედრის მეტი შანსი კი ამჟამინდელ მაჟორიტარ დეპუტატებს აქვთ.**

**თუ რატომ აღარ სურს დავით საგანელიძეს დეპუტატობა, ამას for.ge-ს ინტერვიუდან შეიტყობთ.**



**— საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პოსტიდან წასვლას მართლა აპირებთ?**

— ძალიან ვწუხვარ, რომ ერთ-ერთმა ტელევიზიამ ჩემი ინტერვიუ ორაზროვნად გააშუქა და „დაჭრა“. საქართველოში არ ვიყავი, ამ თემაზე განმარტებები ვერ გავაკეთე და ეს საკითხი უაზრო მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. საქართველოს პარლამენტის მომავალ შემადგენლობაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება, რაც ნორმალურია. ალბათ, პარტიულ სიაში ახალი სახეები გამოჩნდებიან და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არც მე მივიღებ. ამასთან, თუკი საჭიროდ ჩაითვლება, რომ რომელიმე სხვა ადგილას გადავიდე და გუნდსა და ქვეყანას მეტი საქმე იქ გავუკეთო, მზად ვარ, პოსტი დღესვე დავტოვო.

ჩემთვის თანამდებობა და სავარძელი ტიტული არ არის და მას არასოდეს გამოვეკიდები. თუ ვინმეს სურს, რომ პოსტიდან წავიდე, მას ვერ გავახარებ, ხოლო, თუ ვინმეს პოსტიდან ჩემი შესაძლო წასვლა ეწყინა, მას ეს ნუ ეწყინება, რადგან არსად არ მივდივარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ.

**— რაც შეეხება ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ განვითარებულ მოვლენებს, არის თუ არა ფრაქცია განხეთქილების ზღვარზე?**

— უმრავლესობაში დაპირისპირება ნამდვილად არ არის და დეპუტატები პროცესებს განსხვავებულად თუ ვხედავთ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. ფრაქციაში პრობლემა რომ იყოს, ეს 47-კაციან ფრაქციაში ნორმალურია. კოალიციაში „ქართული ოცნება“ ყველაზე გავლენიანი ფრაქციაა და მის წევრებს თავიანთი მოსაზრებები აქვთ. ფრაქციაში რამდენიმე ჯგუფია, რომელიც ზოგ საკითხზე განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებენ. სამწუხაროდ, ჩემი პოზიციის დაფიქსირებისას, ყველას აზრს ვერ გავითვალისწინებ. პარლამენტში ექვსკაციანი ფრაქციებია, „ქართული ოცნება“ კი 47-კაციანია და მის წევრებს გარკვეული პრეტენზიები აქვთ.

მაგალითად, „ეროვნული ფორუმის“ ექვსკაციან ფრაქციაში ხუთ ადამიანს თანამდებობა უჭირავს და მათ მანქანები ემსახურებათ. 47-კაციან ფრაქციაში კი, თანამდებობის პირი შვიდი ადამიანია. ამიტომ, ჩვენი ფრაქციის წევრების ძალიან კარგად მესმის, რომლებიც ითხოვენ, რომ კვოტები სამართლიანად გადანაწილდეს.

**— ფრაქციისგან განსხვავებული პოზიციების გამო თამარ**

№45. ოთხშაბათი, 11 მარტი, 2015 წელი.

**ქართული სახელმწიფოს გადარჩენისა და აღორძინების რეალური პროგრამა, — ერთი წინადადებით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ქართული ერთობის დარბაზის კონგრესზე საქვეყნოდ გაცხადებული მოქმედების მანიფესტი.**

**კონგრესის მორიგი სხდომა 9 მარტს გაიმართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. სხდომის გახსნის პატივი სიმბოლურად მიენდო დიდი რეჟისორისა და მამულიშვილის, მშვიდობის მსოფლიო ელჩის რეზო ჩხეიძის შვილიშვილს ნინოს, რომელმაც ცოტა მოგვიანებით სახელოვანი პაპის ღია წერილი წაიკითხა კონგრესის მონაწილეებისადმი — „ჩვენ ერთად ვქმნით ტელევიზია „ქართულს“. თუმცაღა, ერთმნიშვნელოვნად უნდა გითხრათ, რომ ეს არის წერილი თითოეული ქართველისადმი, ამიტომაც დიდი რეჟისორის ძირითად სათქმელს უცვლელად გთავაზობთ:**




# გავერთიანდეთ და თავი დავიხსნათ ყალბი, გამოგონილი მეგობრებისგან!

ჩემო მეგობრებო!

ყოველნაირი სიკეთისა და სიმდიდრის დაგროვება შემეძლო. მეც დავაგროვე...

ჩემი სიმდიდრე განვლილი გზაა, ხალხის სიყვარული, რომელმაც ამ ასაკამდე მომაღწევინა. ჩემი სიმდიდრე ჩემი ფილმებია, მათ შორისაა, უკვე 50 წლის „ჯარისკაცის მამა“.

ერთადერთი მატერიალური სიმდიდრე, რაც ღირსეულ მამულიშვილთა შემწეობით დღეს გამაჩნია, ტელევიზიაა, თითოეული ჩვენგანისთვის სათაყვანებელი სახელით — **„ქართული“**. სიმბოლურია, რომ გიორგობა დღეს, სამების ტაძარში, პატრიარქსა და საზოგადოებას ვაუწყე ამ ტელევიზიის მშობელი ერისთვის საჩუქრად გადაცემის განზრახვის თაობაზე. გარდავქმენი სააქციო საზოგადოებად და ჩემს მეგობრებთან ერთად, ქვეყნის საამაყო შვილებთან: ანზორ ერქომაიშვილთან, გივი თოიძესთან, ტარიელ ხარხელაურთან, თემურ გუგუშვილთან, ოთარ მხეიძესთან, არნოლდ გეგეჭკორთან, რომან რურუასთან, რამაზ ყურაშვილთან ერთად დავიწყეთ დიდი პროცესი არა უბრალოდ სიტყვით, არამედ ბუნებით დემოკრატიული, რეალურად ქართული ტელევიზიის შექმნისა საქართველოში.

მომავალში ის გახდება საკუთრება ყოველი პიროვნებისა, ვინც შეიყვარებს, ვინც შეეხიდება, ვინც 1, 10 თუ 1 000 აქციის ფლობის სანაცვლოდ გაიღებს თანხას ამ ტელეკომპანიის შემდგომი გაძლიერებისთვის, მაგრამ ის კი გვექნება საამაყოდ, რომ დიდ ქართულ პროექტში მივიღეთ მონაწილეობა. პროექტში, რომელსაც მომავალი უფრო დააფასებს, ვიდრე ჩვენ ეს დღეს წარმოგვიდგენია.

ეს იქნება ძლიერის მხარდამჭერი, მაგრამ, იმავდროულად, სუსტისა და გაჭირვებულის დამცველი ტელევიზია.

ეს იქნება თაობათა შორის დღეს ჩატეხილი ხიდების გამთლიანების, მთელს მსოფლიოში მიმოფანტული ქართული დიასპორების ერთობის ტელევიზია.

ჩემი და ჩემი მეგობრების დიდი სურვილია, რომ ეს იყოს სტუდენტური და ახალგაზრდული ტელევიზია.

ჩვენ ვიქნებით ამაყნი და ბედნიერნი, თუ საერთო თანადგომით, ქველმოქმედთა და



მეცენატთა, XXI საუკუნის სარაჯიშვილთა და ზუბალაშვილთა მხარდაჭერით, 8 თებერვლიდან, დიდი დავითის ხსენების დღიდან, ჩვენი დედაუნივერსიტეტის დაარსების დღიდან მოყოლებული, ეტაპობრივად საქართველოს მივცემთ მართალ, თბილ, სიყვარულით სავსე ტელევიზიას. **არადა, ჰაერივით სჭირდება სიძულვილით გაჯერებულ ეთერს ასეთი მაუწყებლობა. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ყოველი პიროვნების ამაღლება, ყოველი ოჯახის გაძლიერება, ყოველ გვარში მშვიდობა, ყოველი კუთხის აღმშენებლობა.**

ჩვენ ვიწყებთ „მოქმედების მანიფესტის“ განწყობით ცხოვრებას... ჩვენ ვიწყებთ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის — ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი ეპოქის ანალიზს... ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ მეცნიერთა მონაწილეობით შევქმნათ დოკუმენტური ფილმი — რა მისცა მსოფლიო ცივილიზაციას საქართველომ“... ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ დოკუმენტურად ვისაუბროთ ჩვენს უცხოელ მეგობრებზე, როგორც დიდი ილია იტყოდა, „შორეულ თავისიანებზე“, **იქნებ თავი დავიხსნათ დღევანდელი ყალბი და გამოგონილი მეგობრებისგან...** ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ, როგორ ცხოვრობენ უცხოელები საქართველოში და როგორია დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეებისადმი უცხოეთში.

დიახ! ასეთი რთული საკითხებით ვიწყებთ. სწორედ ამიტომ გვჭირდება დიდი თანადგომა — ამ დიდი ქართული პროექტისადმი შეძლებულთა სიუხვე და არა — სიძუნწე. ვიმეორებთ, სიუხვე და არა — სიძუნწე. ჩემი ასაკისა და გამოცდილების კაცს დაეჯერება: ამ საქმის მხარდაჭერა უპირველესად სულიერებასთანაა დაკავშირებული. ჩვენი მოქმედების საზომიც ეს არის.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენ ძალიან მალე ბევრზე ბევრნი გავხდებით და ასეთი დიდი ერთსულოვნებით შექმნილი ტელევიზია, მართლაც, უნიკალური ფაქტი იქნება მსოფლიო სატელევიზიო სივრცეში.

* * *

**კონგრესზე გამოწვლილვით, დარგობრივად განიხილეს დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის, სოციალური ყოფის, კულტურისა და სპორტის, აღზრდისა და დასაქმების, ქართული მიწის გაყიდვა-გასხვისების პრობლემები.**

საოცრად გულწრფელი და დამაჯერებელი იყო ამ პრობლემებზე პროფესიონალ ქართველთა შეფასებები. თავად განსაჯეთ, როგორი საგულისყურო იქნებოდა, მაგალითად, დიდი მამულიშვილის, გამოჩენილი ლოტბარის და ფოლკლორისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ანზორ ერქომაიშვილის შეფასება: **ჩვენი დღევანდელი გაჭირვების უმთავრესი მიზეზია ურთიერთდაპირისპირება, გათითოკაცება, ამბიციურობა და ამპარტავნობა. სწორედ ამ სატკივარს უნდა ვუწამლოთ და ქვეყანაც გადარჩება და აღორძინდება. ეს უნდა იყოს ჩვენი ერთობის დარბაზის მთავარი ზნეობრივი მისია. ამისკენ მოგვიწოდებს ჩვენი ტანჯული ისტორია, ჩვენი დედაეკლესია და ჩვენი დიდი კათოლიკოს-პატრიარქი...**

კონგრესის მოქმედების მანიფესტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ერთობის დარბაზის დამფუძნებელმა, პროფესორმა რამაზ ყურაშვილმა, ფსიქოლოგმა ლეონ ფირცხალავამ (მანვე წაიკითხა მანიფესტის ტექსტი და დააკონკრეტა, რომ თბილისში მოქმედების პროგრამაზე ხელმოწერები 14-15 აპრილს გაიმართება). ერთობ კრიტიკული იყო უკრაინაში მცხოვრები პროფესორის გიორგი სიგუას და ბიზნესმენ შალვა აბაშიძის გამოსვლები. აჭარის დელეგაციის სახელით კონგრესს საკუთარი მოსაზრებები გააცნო პროფესორმა და პოლიტოლოგმა ნიაზ ბოლქვაძემ, ქართული მიწის გასხვისების სატკივარზე ისაუბრა პროფესორმა, 2014 წლის საუკეთესო მეცნიერმა პაატა კოღუაშვილმა, უმუშევრობის ზრდის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის უნიათობის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება პროფესორმა, პოლიტოლოგმა და ექსპერტმა მიხეილ ანდღულაძემ. საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა საერთო გასაჭირსა და სამშობლოსთან იმათი ურთიერთობის საკითხზე ისაუბრა უცხოეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ყოფილმა თავმჯდომარემ, პროფესორმა სანდრო ნონეშვილმა, ცნობილმა ბიოლოგმა და მწერალმა, პროფესორმა არნოლდ გეგეჭკორმა.

სახალხო ტელევიზია „ქართულის“ (შესაძლოა, მას ტელეკომპანია „ქართული გამარჯვება“ ეწოდოს) გარშემო ისაუბრეს საქართველოს სახალხო არტისტმა, ლეგენდარულმა მოცეკვავემ ომარ მხეიძემ და ამ ტელეკომპანიის ახლად დანიშნულმა გენერალურმა დირექტორმა ომარ შამათავამ **(ტელევიზიის გახსნა მაისიდან იგეგმება)**.

ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის რომან რურუას წინადადებით, დარბაზმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყოველთა ქართველთა მორიგი მსოფლიო კონგრესი შემოდგომაზე, თბილისობის დღესასწაულის დღეებში მოვიწვიოთ.

საკუთარი სათქმელი ლექსებით გამოხატეს ერთობის დარბაზის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ცნობილმა პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა, ახალგაზრდა პოეტებმა ნათია ავსაჯანიშვილმა და ოთო ფალიანმა.

საღამო დაამშვენეს თბილისელმა, ქუთაისელმა და ბათუმელმა მსახიობებმა, სახალხო ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

ერთობის დარბაზის სხდომაზე კონგრესის საერთო ხელმძღვანელად აირჩიეს ლეგენდარული მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი.

კონგრესის მთავარი ლაიტმოტივი იყო დიდი ქართული პროექტის **„საქართველო დაჭრილი მზეა!“** (გრიგოლ რობაქიძის გამოთქმაა) განხორციელებისთვის ერისა და ბერის შემზადება.

ცნობილმა საოპერო მომღერალმა დავით გველესიანმა ქართველთა ერთობის დარბაზის კონგრესი დაასრულა სულისშემძვრელი პატრიოტული სიმღერით — „ჰერიო, ბიჭებო!“

კონგრესის მორიგი შეკრება 27 მარტს ბათუმში გაიმართება.

სიმბოლურია ისიც, რომ პირველი კონგრესი გელათში, დავით აღმაშენებლის დღეს, 8 თებერვალს გაიმართა. მისი მთავარი ორგანიზატორი თემურ შაშიაშვილი იყო.

**სპარტაკ ქოზულია**

# სახეებს დავუთმო“

**კორძაია გააკრიტიკეს და გია ვოლსკიმ დახურულ სხდომაზე ისიც კი განაცხადა, რომ კორძაიას სთხოვს, სხვა ფრაქციაში გადავიდეს. ამას გარდა, ელისო ჩაფიძეს კონფლიქტი ირაკლი ტრიპოლსკისთან აქვს. ეს დაპირისპირება არ არის?**

— თამარ კორძაიამ რამდენიმე საკითხთან მიმართებაში განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა, მაგრამ პროცესს ანალოგიურად რომ მივყვეთ, საყდრისთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს „ეროვნული ფორუმის“ ორმა წევრმა — სოსო ვახტანგიშვილმა და ანი მიროტაძემ ხმა მისცეს. ამას გარდა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კრიტერიუმებთან მიმართებაში განსხვავებული პოზიცია ზაქარია ქუცნაშვილმა დააფიქსირა. კარგი იქნება, რომ ხანდახან, თამარ კორძაიამ თავის პრინციპები დათმოს და გუნდურად ითამაშოს. ეს ჩემი თხოვნა იქნება მისდამი. ბევრი ისეთი თემა ყოფილა, სადაც განსხვავებული აზრი მქონია, მაგრამ ეს თემა გარეთ არ გამომიტანია. თუ შენი მიზანია, რომ, რაც გინდა ის აკეთო, მაშინ დამოუკიდებელი დეპუტატი უნდა იყო, რაც კობა დავითაშვილისა და მურმან დუმბაძის შემთხვევაში მოხდა.

რაც შეეხება ელისოს, მას ტყიბულში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ვესაუბრე, მან ბევრი რამ მომიყვა და ჩაფიძეს პირობა მივეცი, რომ ვითარებას გავარკვევ და პარტიის მხრიდან რეაგირება იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ რიგგარეშე არჩევნები არ იქნება, რადგან ეს ქვეყანას არ სჭირდება, რადგან ეს ინვესტიციების მოზიდვის პარალიზებას ახდენს. კონსტიტუციის დაცვას უნდა მივეჩვიოთ. არჩევნებისთვის ნებისმიერი პარტია უნდა ემზადებოდეს და ასე ხდება „ქართული ოცნების“ შემთხვევაშიც. პარტია ძალიან ბევრ ადამიანთან კონსულტაციებს აწარმოებს როგორც მსახიობებთან, ასევე სპორტსმენებთან და ექიმებთან დაკავშირებით. ამჟამინდელი შემადგენლობიდან ზოგ დეპუტატს პოლიტიკიდან წასვლა მოუწევს, ზოგი სამთავრობო სტრუქტურაში გადავა, ზოგი რეგიონებში წავა და ზოგი თავის პროფესიას დაუბრუნდება. პარლამენტში ვინც ვართ, ყველანი ომით და ბრძოლით მოვედით. მე მომავალ პარლამენტში არ ვიქნები, თუმცა, არა იმიტომ, რომ ეს მეხუთე მოწვევის პარლამენტი იქნება. ყველა არჩევნები ოპოზიციიდან მოვიგე და საკანონმდებლო ორგანოში არასოდეს ხელისუფლებას არ მოვყავდი.

**— მომავალ პარლამენტში რატომ ვერ გიხილავთ?**

— ჯობს, ადგილი ახალ სახეებს დავუთმო. მიმაჩნია, რომ ჩემი ფუნქცია და როლი მაშინ იყო მნიშვნელოვანი, როცა წინა ხელისუფლებას ვებრძოდი და მისი მოცილება გვინდოდა. ამ პროცესში ჩემი პატარა აგური დავდე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი საპარლამენტო გამოცდილება მაქვს, ცუდია, რომ დოგმებსა და სტერეოტიპებში ჩავიკეტე. მომავალ არჩევნებში ბევრი ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატი ჩაერთვება, რომლებიც საქმეს ძალიან აქტიურად აკეთებენ.

**— რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმას, ისინი 21 მარტს საპროტესტო აქციის გამართვას და ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარების გაპროტესტებას აპირებენ. როგორ აფასებთ მათ გადაწყვეტილებას?**

— აქციების ორგანიზება როგორ ხდება, ეს ძალიან კარგად ვიცი. ნაციონალები რაიონებში ხალხს 21 მარტის აქციისთვის ამზადებენ და ამაში ძალიან დიდ ფულს ხარჯავენ. 21 მარტს, რუსთაველის გამზირზე, მათი ჩვეულებრივი გასეირნება იქნება, შემდეგ უკან გამოისეირნებენ და სახლებში წავლენ.

**— ნაციონალები აცხადებენ, რომ აქციის მთავარი ლოზუნგია — „უნიათო და უუნარო მთავრობა გადადგეს“...**

— ვინაა უუნარო, ამას ხალხი ხედავს. ის მთავრობა იყო უნარიანი, რომელიც ხალხს ხიშტებით, ცოცხებითა და ციხეებით აშინებდა? უუნაროს იმ მთავრობის წევრები გვიწოდებენ, რომლებიც ხალხს ციხეში ალპობდნენ და ქონებას ართმევდნენ?! ნაციონალები ძალის დემონსტრირებას სიამოვნებით მოახდენდნენ, მაგრამ მათ ამის ძალა არა აქვთ.

**თეონა მანაგაძე**

დიმიტრი გულია — 140

# მე ყველაფერი შემიძლია, მე ადამიანი ვარ!

**აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას დაბადების 140 წლისთავი ერთდროულად აღინიშნა თბილისსა და სოხუმში. სიმბოლურია, რადგან იმ ფესვებს, საიდანაც ქართულ-აფხაზური სიყვარული აღმოცენდა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ვერ შლის.**

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით გამართულ კონფერენციას შემოუერთდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, საქართველოს ისტორიკოსთა კომიტეტი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი.

ხალმხრავალ დარბაზში უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ადამიანი“ დიმიტრი გულიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მის ცხოვრებაზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ტიტე მოსიამ. თითქმის არავინ იყო მსმენელთა შორის ისეთი, ვინც ზოგადად მაინც არ იცოდა ამ ადამიანის მოღვაწეობის შესახებ, თუმცა, ბევრი საინტერესო დეტალი გახმიანდა. მაგალითად ის, რომ მოჯაჰიდობის გამო თურქეთში გადასახლებული გულიების ოჯახი მაშინ დაბრუნდა მშობლიურ მხარეში, როცა დიმიტრი 7 წლისა იყო. სოფელ აძიუბჟაში შეისწავლა წერა-კითხვა რუსულად და ქართულად. მერე რამდენიმე ხანს გორის სემინარიაში უსწავლია, რომელიც ავადმყოფობის გამო მიუტოვებია. თუმცა, გამოცდები ექსტერნად ჩააბარა და დაწყებითი მასწავლებლობის უფლება მოიპოვა. მუშაობდა დღისით მასწავლებლად, ღამე კი თვითონ სწავლობდა. საოცარია, მაგრამ 1982 წელს 18 წლისამ ქართველ პედაგოგ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად გამოსცა აფხაზური ანბანი. ეს იყო პირველი ანბანი, საიდანაც იწყება აფხაზური დამწერლობა და ყველაფერი პირველი, რაც აფხაზურ კულტურას და აფხაზი ერის სულიერ-ინტელექტუალურ განვითარებას უკავშირდება.

**დიმიტრი გულია იყო პირველი აფხაზი პოეტი, პირველი აფხაზი პროზაიკოსი, დრამატურგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მთარგმნელი, პედაგოგი... აფხაზური ლიტერატურის მესაძირკვლე.**

1924-1926 წლებში დიმიტრი გულია ივანე ჯავახიშვილის მოწვევით ასწავლიდა აფხაზურ ენას თბილისის უნივერსიტეტში და ეს იყო პირველი წარმატებული ნაბიჯი მსოფლიო უნივერსიტეტების ისტორიაში აფხაზური ენის საუნივერსიტეტო საგნად შემოღებისა.

აფხაზურ ენაზე დიმიტრი გულიას ლექსების კრებული 1912 წელს სწორედ თბილისში დაიბეჭდა. პოეტის ნაწარმოებებში ასახულია აფხაზი ხალხის მდიდარი სულიერი სამყარო, ფიქრები, ოცნებები...

1919 წელს გამოქვეყნდა პირველი ნოველა „უცხო ცის ქვეშ“, ხოლო 1940 წელს პირველი რომანი „კამაჭიჭი“. იგი იყო პირველი აფხაზური გამოცემის რედაქტორი. 1921 წელს მისი ძალისხმევით ჩამოყალიბდა აფხაზური თეატრალური დასი.

დიმიტრი გულიამ თარგმნა „სახარება“ აფხაზურ ენაზე, სამაგალითოდ არის აღიარებული მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ილიას, აკაკის, ვაჟას პოეზია. თარგმნიდა რუსულ, უკრაინულ, ოსურ ლიტერატურას.

**მან დაწერა აფხაზი ხალხის ისტორია, მუშაობდა ეთნოგრაფიულ საკითხებზე, დიდი რუდუნებით და სიყვარულით იკვლევდა სანუკვარი ხალხის წარსულს, ფესვებს...**

„დიმიტრი გულია და აფხაზური ენის შესწავლის საკითხები — საკონფერენციო თემა პროფესორებმა ვაჟა შენგელიამ და ნანა მაჭავარიანმა წარმოადგინეს. აფხაზურ კულტურაში გაწეულ დიმიტრი გულიას წვლილზე ხელოვნებათმცოდნე სვეტლანა ქეცბამ ისაუბრა. აფხაზი პოეტისა და აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ადამიანურ ურთიერთობებზე მოგონებები რუსუდან ჯანაშიამ მოჰყვა...

დიმიტრი გულია 86 წლისა გარდაიცვალა. სოხუმის პარკში დიდი პატივით დაკრძალეს, ხოლო მის საფლავზე ქანდაკება ქართველმა გივი რუხაძემ გამოკვეთა. მას აფხაზები და ქართველები ერთნაირ პატივს მიაგებენ.

დიმიტრი გულიასთვის აფხაზი და ქართველი განუყოფელი ცნებები იყო. იგი წერდა: **„ჩვენ ერთი ცის ქვეშ გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენ ერთი ადათის, მენტალიტეტის, ფსიქიკისა ვართ. არა მგონია, აფხაზს ქართველზე უფრო ახლობელი ჰყავდეს. ჩვენ დიდი ქართველები გვანებივრებდნენ... ვინც ამ ძმობას შლის „იგი თავისა მტერია“.**

**სამწუხაროდ, დიმიტრი გულიას გარდაცვალებიდან 33 წლის შემდეგ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები დაინგრა... საბედნიეროდ, ახლა ამ ურთიერთობებს ქართულ-აფხაზური სიყვარულის მოსურნენი და ფუძისჩამყრელნი ამთელებენ...**

**თეა მოსია.**



სასიამოვნო ცნობა დანიიდან

# ირმას გამარჯვება და ჯანსულის სიხარულის ცრემლი...



დანიის ქალაქ არუსში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება პიანისტთა დიდი საერთაშორისო კონკურსი. ამჯერად ამ კონკურსში მონაწილეობდნენ იაპონელი, ჩინელი, ავსტრალიელი, სამხრეთ კორეელი, იტალიელი, რუსეთელი... პიანისტები. საქართველოდანაც იყო რამდენიმე პიანისტი, რომლებშიც, უკვე სახელოვანმა და მრავალ კონკურსში გამარჯვებულმა **ირმა გიგანმა ისე იმარჯვა, რომ 174 მონაწილიდან 4 ლაურეატში მოხვდა და, გამარჯვებულის დიპლომთან ერთად, ფულადი პრიზიც დაიმსახურა.** სხვათა შორის, ამ 4 ლაურეატიდან, 3 — ვაჟია — ავსტრალიელი, იტალიელი და სამხრეთ კორეელი...

ირმა გიგანმა უკვე მიიღო სხვადასხვა ქვეყნის მიწვევა, ანუ წელს და გაისად, იგი კვლავაც გაიტანს ქართული საფორტეპიანო სკოლის სახელსა და დიდებას დედამიწის სიგრძე-სიგანეზე, გაგვახარებს ყველას, ხოლო, რა გასაკვირია, სიხარულის ცრემლს მოჰგვრის ჯანსულ ჩარკვიანს — სახელოვან ბაბუს. ირმას ამ გამარჯვებასაც ხომ სიხარულის ცრემლით შეხვდით ჯანსულ ბატონო?!

ჩვენც წაგვცდა ცრემლი სიხარულისა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

შეჩერდი, წამო!

# აღფრთოვანებული დელონი



**სულ ახლახან მთელმა საქართველომ იზეიმა თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო საოპერო მომღერლის, მსოფლიო ბანის პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილე. საიუბილეო საღამოზე, რომელიც მსოფლიო კინოს ვარსკვლავს ალენ დელონს მიჰყავდა, უამრავი ჩვენი თანამემამულე საოპერო ვარსკვლავი ჩამობრძანდა მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრებიდან. საიუბილეო საღამოს წინა დღეს გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა რეზო (ემელიანე) ადამიამ მის მიერვე 2014 წელს შექმნილი „თეთრი მთავარანგელოზ მიქაელის“ ხატი გადასცა საჩუქრად ლეგენდარულ მსახიობს. ამ ფოტოზე (იუბილართან და ბატონ გურამ ახალაიასთან ერთად) ნათლად ჩანს საჩუქრით აღფრთოვანებული ფრანგი მსახიობი.**

**ავთანდილ ბექაური**

## განცხადება

2015 წლის 8 მაისს 14.00 საათზე, სს „ფოთის გემთსაშენი ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. ფოთი, დავითაიას ქუჩა 1), გაიმართება სს „ფოთის გემთსაშენი ქარხნის“ აკვატორიის და ტერიტორიის ფარგლებში უნივერსალური გადასატვირთი ნავმისადგომის კომპლექსის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ტვირთების გადატვირთვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშულება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

— შპს „ტრანსფორდი“ ქ. ფოთი, ალმაშენებლის ქუჩა 61.

— ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი მის: ქ. ფოთი ალმაშენებლის ქუჩა 12.

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.aarhes.ge.

საზოგადოების მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადაა გაზეთში გამოქვეყნებიდან 45 დღე.

**შპს „ტრანსფორდის“ ადმინისტრაცია.**

საკურორტო ზონა



# უნიკალური წყალტუბოს კიდევ უფრო დასამშვენებლად

**უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ, რომ საბჭოთა კავშირის ხანაში სამგზავრო მატარებელს მოსკოვი-თბილისი ერთი სხვა დანიშნულების სადგურის ვაგონი მუდამ ჰქონდა ჩაბმული – მოსკოვი-წყალტუბო, შემდეგ ეს მატარებელი „დამოუკიდებელი“ გახდა და წყალტუბოში ყოველდღიურად შედიოდა 15-16-ვაგონიანი შემადგენლობა. ეს კი იმის უტყუარი დასტურია, რომ საბჭოური იმპერიის არსებობის დიდი დროის განმავლობაში ჩვენებური წყალტუბოს სამკურნალო წყლების ამბავი დედამიწის ხმელეთის ერთ მეექვსედს ერთიანად იყო მოდებული. მეოთხედი საუკუნის წინათ კი, იქნებ უფრო ადრეც, კურორტ წყალტუბოს ვარსკვლავს ნელ-ნელა სიკაშკაშე დაეკარგა და თანდათანობით თითქმის სულ მთლად ჩაქრა. არადა იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ტურიზმი (მათ შორის, სამკურნალოც!) ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული, წყალტუბოსა და მისი დარი სხვა კურორტების გაცდენა (ბორჯომის, საირმეს, მენჯის, ახტალის და ა. შ.) მთლად დანაშაული თუ არა, გონიერების ნაკლებობა ნაღდად არის.**

თუმცა კი, სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ბოლო თითქმის 20 წლის მანძილზე, პერმანენტული ლაპარაკი კურორტ წყალტუბოს რეაბილიტაციაზე მუდამ იყო, თუმცა კი, საქმე „კეთილი სურვილების“ დონეს არ გასცდენია. ახლა, როგორც ჩანს, საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა – საქართველოს საპარტნიორო ფონდმა შარშან, უცხოელი სპეციალისტების დახმარებით, წყალტუბოსთან დაკავშირებით კვლევა ჩაატარა. მისი მიზანი კურორტის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა და სამომავლო განვითარების პერსპექტივების წარმოდგენა იყო. კვლევის ჩასატარებლად, საპარტნიორო ფონდმა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ევროპაში ცნობილი ფირმა „კოხ ენდ კომპანი“ მოიწვიეს, რომლის სპეციალისტებმა ზოგადად სპა-კურორტების ბაზრისა და კონკრეტულად წყალტუბოს კონკურენტუნარიანობის ანალიზი ჩაატარეს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ საპარტნიორო ფონდის მოღვაწეობაში ახალი ინფრასტრუქტურული მიმართულება სწორედ სპა-კურორტების განვითარებაა.

ალსანიშნავია, რომ **კომპანია „კოხის“ კვლევამ როგორც სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ქონების ინვენტარიზაცია, ასევე სათანადო ტექნიკურ-საინფორმაციო ელექტრონული ბაზრის შექმნა და კურორტის განვითარების პერსპექტიული მენეჯმენტი მოიცვა.**

კვლევის შედეგად გამოტანილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ **საერთაშორისო ბაზარზე, სხვა ანალოგიურ კურორტებთან შედარებით, წყალტუბოს უნიკალური კონკურენტული უპირატესობა აქვს, რასაც, უწინარესად, ადგილობრივი თერმული წყლების გამაჯანსაღებელ თვისებებს უნდა უმადლოდეს.**

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, წინა ათწლეულებთან შედარებით დღესდღეობით საკმაოდ არასახარბიელო დღეში მყოფი წყალტუბოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის მაღალი დონის საერთაშორისო სპა-კურორტად დადგომას, ინფრასტრუქტურაა. **ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან წყალტუბო რკინიგზითაა დაკავშირებული, მის მახლობლად კი კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტია.** ამდენად, ლოგისტიკურად დიდი პრობლემები წყალტუბოს წინაშე არ არის, ხოლო რაც შეეხება დიდი ხნის მანძილზე უმოქმედო რკინიგზის ხაზის ნაწილობრივ რეაბილიტაციას, ეს არსებითი დაბრკოლება არანაირად არ არის.



იმ ხანებიდან მოყოლებული, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ წყალტუბოში კურორტის მშენებლობა დაიწყო, ყველაფერი იმ ანგარიშით კეთდებოდა, რომ ქალაქი საკავშირო გამაჯანსაღებელი ცენტრი ყოფილიყო და ამ მიზანს მიაღწიეს კიდეც. სწორედ იმ დროიდან მოყოლებული დღემდე შემორჩა წყალტუბოს ორნახევარი ათეული სანატორიუმი-სასტუმრო, თუმცა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობაშია და რამდენიმე მათგანი დასანგრევია. ამასთან დაკავშირებით კომპანია „კოხის“ კვლევაში მოცემულია თითოეული სასტუმროს განვითარების სქემა თავისი საინვესტიციო კომპონენტითაც და უიმისოდაც.

უცხოელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ პროექტში გათვალისწინებულია უნიკალური არქიტექტურის მქონე სასტუმროების ნაწილის რესტავრაცია. მასში ზონირების პრინციპია გამოყენებული, რაც **წყალტუბოში სარეკრეაციო ზონის შექმნას გულისხმობს, რომელშიც სასტუმროების გარდა, სანიტარიული, ასევე თერმული წყლებისთვის განკუთვნილი და დასასვენებელი უბნები იქნება.**

შემუშავებული გეგმის თანახმად, **წყალტუბოში აშენდება ორი ხუთვარსკვლავიანი, ასევე რამდენიმე ოთხ და სამვარსკვლავიანი სასტუმრო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ სამკურნალოდ ჩასვლა განსხვავებული ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანებს შეეძლებათ, რაც სპა-კურორტის განვითარების, მისი საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა.**

2035 წლამდე გათვლილი პროექტის სარეალიზაციოდ, წყალტუბოს საერთაშორისო დონის სპა-კურორტად გადასაქცევად 750 მილიონი დოლარის ინვესტიციაა საჭირო.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის **ირაკლი კოვზანაძის** თქმით, სადღეისოდ უპირველესი ამოცანაა, რომ ბრენდი „წყალტუბო“ საერთაშორისო დონის სამედიცინო და სპა-კურორტის სინონიმად იქცეს.

**– წყალტუბო ბრილიანტია, რომელიც აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, განვავითაროთ და ჩავაყენოთ ჩვენი ჯანმრთელობის, სამამულო ეკონომიკის სამსახურში,** – თქვა მან. **– წყალტუბოს პროექტის განხორციელებაში დიდად გამოგვადგება ლიკანში „რიქსოს-ბორჯომის“ სასტუმროს მშენებლობისას მიღებული მდიდარი გამოცდილება. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია, რომ ვიცით, თუ როგორ უნდა დავასაქმოთ ადგილობრივი მოსახლეობა როგორც საერთაშორისო ბრენდების სასტუმრო-რეკრეაციული კომპლექსების მშენებლობისას, ასევე მათი მწყობრში ჩადგომის შემდეგ.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ექსპორტის ხელშეწყობა

# მეწარმეს უფრო იმედიანად იქნება

**ეკონომიკური განვითარების ტემპის ზრდის, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისთვის და ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მთავრობის ეკონომიკური გუნდის მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, უდავოდ, ექსპორტის ხელშეწყობაა, მისი სხვადასხვა სახით წახალისება. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ცოტა ხნის წინათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ უახლოეს დროში საპარტნიორო ფონდის ბაზაზე ექსპორტის წახალისების საგანგებო მიმართულება შეიქმნება.**

საპარტნიორო ფონდის თავკაცმა **ირაკლი კოვზანაძემ** ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გეგმაშია აპრილიდან ფონდის სისტემაში ექსპორტის შეწყობაზე ორიენტირებული ახალი სტრუქტურის ამოქმედება, რომელიც ამ მიმართულებას გაუძღვება. ლაპარაკია, კერძოდ, ამ მხრივ ევროპული გამოცდილების შესწავლაზე, მის გაზიარებაზე, ხელშეწყობის მეთოდებზე, მათ შორის საექსპორტო გარანტიების, საექსპორტო დაზღვევისა და სხვ. შემოღებაზე. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივაში ამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის სხვა კონკრეტული წვრილმანები, სავარაუდოდ, აპრილის მიწურულისთვის გახდება ცნობილი.

მანამდე კი ექსპორტის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელის **გვანცა მელაძის** განცხადებით, **ბიზნესმენებისთვის, განსაკუთრებით მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის, წლების მანძილზე იყო და ამჟამადაც ასეთად რჩება ფინანსურ წყაროებზე წვდომა, ვინაიდან კომერციული ბანკებიდან კრედიტის მისაღებად აუცილებლადაა საჭირო მისი უძრავი ქონებით უზრუნველყოფა.** მისი თქმით, ექსპორტის დაფინანსების ინსტიტუტის შექმნა ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის სააგენტოს ინიციატივაა, თუმცა კი სახსრებს უშუალოდ ის არ გასცემს, საამისოდ სხა, ევროპაში აპრობირებულ სისტემას გამოიყენებენ, რომელშიც, კერძოდ, გარანტიები და დაზღვევა იქნება გათვალისწინებული.

ქალბატონი მელაძე ასევე აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის სამინისტრომ არასამთავრობო სექტორის რამდენიმე ორგანიზაციასთან შესაბამისი კონსულტაციები გამართა. არსებული ინფორმაციით, პირველ ეტაპზე ექსპორტის ხელშეწყობის ინსტრუმენტებს **(მათ შორის გარანტიებსა და დაზღვევას – რედ.)** დონორები, ან სახელმწიფო დააფინანსებს, შემდგომ კი სტრუქტურა თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდეს. პროდუქციის ექსპორტისას მეწარმისთვის მეტად მნიშვნელოვანია რისკის შეფასება, ანუ მყიდველის სანდოობის გარკვევა. საამისოდ დიდი ხანია მონაცემთა ფართო სპექტრის მომცველი საერთაშორისო ბაზები არსებობს, სადაც ამ ტიპის ურთიერთობებისას გარკვეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა საიმედობა მოწმდება. ამ მხრივ ქართველ ექსპორტიორებს, როგორც ჩანს, ესტონეთის, ჩეხეთისა ან იტალილიის გამოცდილების გამოყენება წაადგებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად ქართველი ექსპორტიორები საქმეს, უმეტესწილად, საქონლის საფასურის წინასწარ გადამხდელ პარტნიორებთან იჭერენ, რომლებიც, გასაგებ მიზეზთა გამო, ძალიან ცოტანი არიან.

ექსპორტის ხელშეწყობის პროექტის წარმატებით ფრთაშესხმის თვალსაზრისით მეტად **საგულისხმოა თავად ბიზნესმენთა ინიციატივა ამ მიზნით საბანკო სტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც სამამულო პროდუქციის ექსპორტიორებზე კრედიტებს ეროვნული ვალუტით გასცემდა. ასევე ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ექსპორტიორთათვის მეტად მნიშვენლოვანია მთავრობის მიერ ენერგოშემცველებზე შეღავათების დაწესება, ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის შექმნის პრობლემურ საკითხებში სათანადო დახმარების გაწევა.** აღნიშნავენ იმასაც, რომ ექსპორტის ხელშეწყობის ბანკი მსგავსი ტიპის უცხოური დაწესებულებების ანალოგი უნდა იყოს. ექსპორტის მოცულობის ზრდის ხელშესაწყობად მეტად მნიშვნელოვანი იქნება ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, ასევე საექსპორტო ბაზრებზე შეღწევაში სახელმწიფო მხარდაჭერა.

მთავრობის ეკონომიკური გუნდის ახალ ინიციატივას ექსპორტის ხელშეწყობის მხრივ გარკვეული ქმედითი ნაბიჯების გადადგმის თაობაზე ექსპერტები დადებითად აფასებენ, თუმცა კი იმასაც აღნიშნავენ, რომ ამის გაკეთება ადრევე იყო საჭირო, რადგან ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი უწინარესი ამოცანა სწორედ ამაში მდგომარეობს.

**ნინო ალექსანდრია**

ალიან-ჩალიანი

# ჰიბრიდული ავტობუსები თბილისში

**იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტის ნაწილით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ჰიბრიდული (ელექტრო) ავტობუსების შეძენა იგეგმება.**

**საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის გაფორმდა შეთანხმება 500 მილიონი იაპონური იენის (დაახლოებით, 4,2 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის არასაპროექტო გრანტის გამოყოფის თაობაზე. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ტოშიო კატიანიმ. ხელმოწერის ცერემონიას თბილისის მერი დავით ნარმანია, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი სომხიშვილი დაესწრნენ. როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტი მოხმარდება ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ შორის, ავტოტრანსპორტის შეძენას ითვალისწინებს.**

ინტერპრესი



## ◎ წერილი რედაქციას

# მერე რას ვუშვრებით, შემოჭერილი ქამრები რომ დაწყდეს!

**ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ლარის კურსის უარყოფითად საგრძნობი მერყეობის რეალურმა სინამდვილემ დღის წესრიგში დააყენა და ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმაც გაიცნობიერეს ქამრების შემოჭერის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა. პირველ რიგში, ვინ, თუ არა ხელისუფლების მაღალი და საშუალო ეშელონების ჩინოვნიკებმა უნდა შემოიჭირონ ქამრები ყველაზე მაგრად, თუმცა, როგორც გაცხადდა, 12%-ით ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება არ ნიშნავს ქამრების მაგრად შემოჭერას. ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მინისტებისა და მათი მოადგილეების მიერ 2014 წელს, ფაქტობრივად, მიღებული ხელფასების მონაცემები. ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იქ მოყვანილმა მათ მიერ მიღებულმა ფაქტიური ანაზღაურების ციფრობრივმა მონაცემებმა; განა რა გააკეთეს მათ ისეთი, რომ ასეთი ანაზღაურების ღირსნი გახდნენ!? მით უფრო საკვირველია, რომ ეს ხდება ისეთი ღარიბი, შეზღუდყლი საბიუჯეტო შესაძლებლობებისა და დეფიციტური ბიუჯეტის ქვეყნის პირობებში, როგორიც საქართველოა.**

აქ ერთხელ კიდევ უნდა შევახსენო მკითხველს, რომ მინისტრებისა და მათი მოადგილეების ხელფასებმა გასული წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, შეადგინა 53 ათასიდან დაწყებული 139.4 ათასი ლარი, ანუ თვეში მათ საშუალოდ 4417-დან 11616 ლარის ფარგლებში ჰქონიათ ანაზღაურება. ძნელად დასაჯერებელია, რომ ოჯახისთვის 4 ათასი ლარი თვეში ხარჯებისათვის საკმარისი არ იყოს და მაინცადამაინც საჭირო და აუცილებელი იყოს თვიურად 11.6 ათასი ლარის მიღება. ამას, თუ ძალიან რბილად ვიტყვით, გაძვალტყავებულ ქვეყანაში კანონიერი გზით გამდიდრებისაკენ ლტოლვა და დაქცეული ქვეყნის დასამარება ჰქვია. თქვე დალოცვილებო, ჯერ ყველაფერი გააკეთეთ ჩვენი საცოდავი ქვეყნისა და ბიუჯეტის გაძლიერება-გამდიდრებისათვის და მერე შეიძინეთ საკუთარ გამდიდრებაზე ზრუნვის მორალური უფლება, და არა ისე, რომ ქვეყანას თქვენი მეცადინეობით ჯერ არაფერი ხელშესახები არ დატყობია, თქვენ კი საგრძნობლად მოძლიერდით ეკონომიკურად და მოსუქდით განვლილ 2.5 წელიწადში.

ობიექტურები უნდა ვიყოთ და უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსაწონია მინისტრების — დავით სერგეენკოს, კახი კალაძისა და სოზარ სუბარის მოქმედება, რომლებმაც უარი თქვეს პრემიებისა და სახელფასო დანამატების მიღებაზე. დავიჯეროთ, რომ მათი ეს გადაწყვეტილება იმდენად საიდუმლოდ განხორციელდა, რომ სხვა მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა ვერ გაიგეს? კი გაიგეს, მაგრამ მათში მეტის მიღებისადმი მიდრეკილებამ და გამდიდრების მანიამ იძალა და იმძლავრა. კარგი იქნებოდა, თუ კი ზემოთ მითითებული მინისტრები თავიანთ აღნიშნულ მოსაწონ გადაწყვეტილებას თავიანთ დაქვემდებარებულ მუშაკებსაც ურჩევდნენ, რომ ისინიც ანალოგიურად მოქცეულიყვნენ და სტიმული მიეცათ ქვეყანაში ქამრების შემოჭერის პროცესის დაუხანებლად დაწყებისათვის.



საკითხი ახლა ასე დგას — აბა ვნახოთ, რეალურად როგორ შემოიჭერენ ქამრებს მიმდინარე 2015 წელს ჩვენი ყველა მინისტრი, მათი მოადგილეები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო ჩინოვნიკები, მთავრობისა და პრეზიდენტის აპარატის მუშაკები, პარლამენტარები და საერთოდ, ჩვენი საკანონმდებლო ორგანო.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ (№38; 27. II. 2015 წ.) გამოქვეყნებული სტატიით — „პენსია, ოქროს საბადო და მორალი“. ავტორი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პენსიონერი, ქალბატონი ელენე აბაშიძე სამართლიანად ამახვილებდა ყურადღებას იმ სავალალო სიტუაციაზე, რაც ამჟამად პენსიონერების თავს არის. კერძოდ, სავსებით სწორად და სამართლიანად იყო მითითებული, რომ დღეს „1630 პენსიონერი მეცნიერებათა დოქტორის პენსია — 150 ლარი გათანაბრებულია ისეთი ადამიანების პენსიებთან, რომლებსაც საერთოდ არ უმუშავიათ სახელმწიფო უწყებებში“. იქვე ავტორს განვითარებული და შემოთავაზებული აქვს პენსიონერებისათვის შემდეგი იდეა: „რაც შეეხება პენსიის 10 ლარით მომატებას, მე კატეგორიულად ვარ წინააღმდეგი და დანარჩენ პენსიონერებსაც მოვუწოდებ 10 ლარზე უარი თქვან. ჩვენ, პენსიონერები შეიძლება გამათხოვრებულები კი ვართ, მაგრამ გვაქვს არანაკლები ადამიანური ღირსება, ვიდრე პარლამენტარებს და თვით ხადურს, ამიტომაც მოგიწოდებთ, პენსიონერებო, შეინარჩუნეთ ღირსება და ამ 10 ლარზე თქვით უარი და შეეწიეთ თვით ხადურს. ჩვენ შეჩვეულები ვართ გაჭირვებას, ამასაც გავუძლებთ, ამ სიძნელესაც გადავლახავთ და უარს ვიტყვით „წყალობაზე“ — 10 ლარზე.

ვერაფერ საწინააღმდეგოს ვერ იტყვის შეგნებული პენსიონერი. პენსიების 10 ლარით გაზრდა სექტემბრის თვიდან არის დაანონსებული. თუ კი პენსიონერები ფართოდ ჩაებმებიან ქამრების მოჭერის კამპანიაში და უარს იტყვიან ამ 10-ლარიან მათხოვრულ წყალობაზე, სახელმწიფო ბიუჯეტს სავარაუდოდ დაუზოგავენ 32. მლნ. ლარს (ქვეყანაში დაახლოებით 800 ათასამდე პენსიონერია, თვეში ამ წანამატისათვის საჭიროა 8 მლნ. ლარი, ხოლო 4 თვეში — სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით 32 მლნ. ლარი). ეს იქნებოდა გაჭირვებაში მყოფი პენსიონერების წვლილი ამ მძიმე წელს. ისე მე, როგორც გამოცდილი ეკონომისტი, ზემოაღნიშნული ავტორისაგან განსხვავებით, ნაკლებად ვადანაშაულებ ფინანსთა მინისტრს ბატონ ნ. ხადურს. რა ქნას მან, თუკი შესაბამისი ფინანსური რესურსები არ არის მის ხელთ.

მე, როგორც პენსიონერი და საქართველოს მოქალაქე, მზად ვარ, შევუერთდე ქ-ნ აბაშიძის მოწოდებას — სახელმწიფოს ინტერესებისათვის უარი ვთქვა 10-ლარიანი საპენსიო წანამატის მიღებაზე, ან კიდევ, აღნიშნული 10 ლარი შევწირო მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობას, რომელიც მთელი ქართველი ხალხის შეწირულობებით შენდება.

**თამაზ დანელია,**

**85 წლის თბილისელი პენსიონერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი**

## ◎ მოსახლეობის ინფორმირებულობისთვის

# ზოგისა ბამბა ჩხრიალებს

**1992-95 წლებში საქართველოში საპარლამენტო მმართველობა იყო. თითქმის ყველა საკითხს პარლამენტის კოლეგია წყვეტდა. გადაწყვეტილებები მიიღებოდა კონსენსუსის წესით. თითოეულ კოლეგიის წევრს შეეძლო საკითხის დაბლოკვა. პარლამენტის თავმჯდომარე იყო პირველი კოლეგიის წევრების თანასწორი. იმხანად მეც ვიყავი პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარე და კოლეგიის წევრი. უშუალო მომსწრე ვარ კოლეგიის წევრებიდან, ვინ რა საქმიანობას უჭერდა მხარს და რა დამსახურება აქვს საზოგადოების წინაშე. რასაც ამ სტატიაში მოკლედ შევეხები.**

პარლამენტის თავმჯდომარემ წინადადება შემოიტანა თბილისში „სითი პარკის“ ფუნქციონირების ნებართვის მიცემაზე. მიუხედავად იმისა, რომ ნებართვის მიცემით პარლამენტის კოლეგიის წევრებიც იყვნენ დაინტერესებული, გიორგი ჭინჭარაულის ბრძოლითა და არგუმენტაციით, საკითხი დაიბლოკა, რასაც შემდგომ ჩვენც დავუჭირეთ მხარი.

არგუმენტები გახლდათ: ქუჩები და ტროტუარები მოსახლეობის გადასახადებითაა გაკეთებული, ანუ მათი ერთჯერადი დაბეგვრით. ორჯერად დაბეგვრას კი საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობა კრძალავდა, რადგანაც დამატებითი პარკირების გადასახადებით ტროტუარებსა და ქუჩებში ტრანსპორტის პარკირება უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო იქნებოდა, პარლამენტის კოლეგიამ „სითი პარკს“ წინადადება მისცა, თბილისის მერიისაგან იჯარით აეღო თავისუფალი მიწები და იქ მოეწყო პარკირება.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლამდე დასახელებული არგუმენტების საფუძველზე ეს საქმე დაბლოკილი იყო. მათი მოსვლის შედეგად მიიღეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელმაც თბილისში ფუნქციონირების დაწყების უფლება მისცა, „თავისუფალ ზონაში“ რეგისტრირებულ „სითი პარკს“.

გარდა იმისა, რომ ეს ფირმა ექსპლოატაციას უწევს მოსახლეობას (რადგან არ იხდის სათანადო სახელმწიფო გადასახადებს და სხვ.) მისი ყოველწლიური შემოსავალი მინიმუმ 8 მილიონია (მაქსიმუმი 22 მილიონზე მეტი), ე.ი. 1992 წლიდან დღემდე გ. ჭინჭარაულის არგუმენტაციითა და იმდროინდელი პარლამენტის დამსახურებით მოსახლეობას დაეზოგა (დაეზოგებოდა) მინიმუმ 176 მილიონი, მაქსიმუმ 484 მილიონი ლარი.

ასევე გ. ჭინჭარაულის პირველადი არგუმენტაციით (რომელსაც ჩვენც დავუჭირეთ მხარი) ადმინისტრაციულ სარჩელებზე არ დაწესდა სახელმწიფო ბაჟი.

არგუმენტები გახლდათ: ა) ადმინისტრაციული სარჩელის დროს სახელმწიფოს უჩივიან იურიდიული და ფიზიკური პირები. თავისთავად არალოგიკურია, ვისაც უჩივი, იმას გადაუხადო ბაჟი; ბ) ადმინისტრაციულ სარჩელზე ბაჟის დაწესებით, მოსამართლეებს ეძლევა ბერკეტი, უსამართლო გადაწყვეტილებებით, სახელმწიფო ბიუჯეტს მისცენ დამატებითი უსამართლო შემოსავლები, რაც საქართველოს სინამდვილეში დადასტურებულია. კერძოდ, ადმინისტრაციულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის დაწესების შედეგად მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ ორ მილიონამდე ლარს იხდის.

სამართლიანი კანონმდებლობის მიღებისა და მოსახლეობის ძარცვის ასაცილებლად ანალოგიურად დავბლოკეთ უამრავი სხვა საკითხი. რასაც მოსახლეობა პოლიტიკური და კულტურული დონის და სხვა გარემოებათა გამო, კანონმდებლობით მიღებულ დანაზოგებს ვერ ათვითცნობიერებს, რაც მრავალჯერ აღემატება იმას, რასაც ისინი ხელზე იღებენ და ვისაც არჩევნების დროს ხმას აძლევენ. ასეთი ქცევით მოსახლეობა „ხმას“ ყიდის არა კანონმდებლობით მისაღებ მრავალათასიანი ლარის დანაზოგზე, არამედ ერთ ტომარა ფქვილზე, ერთ ლიტრ ღვინოზე, მობილურის ტალონზე და ა.შ. ყოველვე ეს ქართული რეალობა და მნიშვნელოვანი პარადოქსია.

ასევე გ. ჭინჭარაულის პირველადობისა და ჩემი უშუალო მონაწილეობით დაიბლოკა ერაყში კონტრიბუციის სანაცვლოდ საქართველოს საჯარისო ნაწილების მონაწილეობა. რის გამოც უამრავი ახალგაზრდის დაღუპვა და დასახიჩრება ავიცილეთ. პარლამენტში ჩვენი არყოფნის შემდგომ კი ეს საკითხი სხვა ქვეყნებში საჯარისო ნაწილების გაგზავნით გადაწყდა. განსაკუთრებით პიკს მიაღწია ნაციონალური მოძრაობის პერიოდში. საინტერესოა, ერაყის (სხვა ქვეყნებშიც ანალოგიურ მდგომარეობას ექნებოდა ადგილი) ნავთობის გაყიდვით მიღებული ყოველწლიური ასმილიარდიანი კონტრიბუციიდან საინტერესოა, საქართველო თუ იღებდა წილს ან თუ ეს წილი (მიღებული ახალგაზრდობის ხოცვა-ჟლეტვის საფუძველზე) ილექებოდა ცალკეულ პირების საზღვარგარეთულ საბანკო ანგარიშებზე. რასაც შესწავლა უნდა.

საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ცხოვრებიდან ბევრი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება. მათი სრული განხილვა სტატიაში შეუძლებელია. ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია ერთი განზოგადებული დასკვნის გასაკეთებლად. საქართველოში არაინფორმირებულობისა თუ სხვა არასასურველ გარემოებათა გამო მხოლოდ მოსახლეობის გაუთვიცნობიერებასა და რეაქციულ დემოკრატიაზე შეიძლება ვილაპარაკოთ.

**არჩილ იოსელიანი,**

**პარლამენტის ყოფილი წევრი**

## ◎ ალიან-ჩალიანი

# „ქამრების შემოჭერასთან“ ნაგავმზიდების შეძენა კავშირში არ არის

**ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა. მისი ინფორმაციით, მერია ნაგავმზიდების შეძენას აპირებს, რათა დედაქალაქში ნარჩენების მართვის თვალსაზრისით მდგომარეობა გააუმჯობესოს. „ამ თვალსაზრისით, ჩვენ ინტერესთა გამოხატვას ვაცხადებთ და ვფიქრობთ, ლიზინგის წესით შევიძინოთ, რათა შემდგომ წლებში გადავიხადოთ ფული. წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული არ გვქონია ნაგავმზიდი მანქანების შესყიდვასთან დაკავშირებით შესაბამისი დაფინანსება. 2500-მდე ახალი ნაგვის კონტეინერი შევიძინეთ, რომელიც ეტაპობრივად ჩამოდის და ამ თვალსაზრისით ქალაქში მდგომარეობას ვაუმჯობესებთ. „ქამრების შემოჭერასთან“ ნაგავმზიდების შეძენა არანაირ კავშირში არ არის“, — აღნიშნა დავით ნარმანიამ.**



ინტერპრესი

## დახურვის საფრთხის წინაშე

# კრიზისი სილამაზის სალონებსაც შეეხო

**2008 წლის ომის დღეებშიც კი მხოლოდ ერთკვირიანი ჩავარდნა გვქონდა, ახლა კატასტროფული ვითარება გვაქვს**

დოლარის კურსის აწევა ყველა სფეროს მტკივნეულად შეეხო — დახურვის რეალური საფრთხის წინაშე არიან სილამაზის სალონები, რომლებიც კლიენტების საგრძნობლად შემცირებაზე საუბრობენ.

**„15 წელია ჩვენი სალონი მუშაობს და ასეთი მკვდარი სეზონი კარგა ხანია, არ მახსოვს. 2008 წლის ომის დღეებშიც კი მხოლოდ ერთკვირიანი ჩავარდნა გვქონდა, ახლა გაცილებით კატასტროფული ვითარება გვაქვს — რომელ მოგებაზეა ლაპარაკი? თვის ბოლოს ფართის ქირას როგორ გადავიხდით, არ ვიცი,“** — გვითხრა ერთ-ერთი სილამაზის სალონის მფლობელმა მარიამ სანადირაძემ. მისივე თქმით, იგივე სიტუაციაა სხვა სალონებშიც, სადაც სტილისტები მხოლოდ ძველ, ე.წ. თავის კლიენტურაზე მუშაობენ.

**„ორ თვეზე მეტია, ვითარება უკეთესობისკენ არ იცვლება. მომხმარებელთა რაოდენობა ყოველდღიურად მცირდება. ამ თვეში, ჩემს გარშემო უკვე დაიხურა ორი სალონი. არადა გაზაფხულის მოსვლა პირდაპირ უკავშირდებოდა კლიენტების მატებას. წინა თვეში ფართის ქირის თანხა და კომუნალური გადასახადები ძლივს დავფარეთ. სტილისტებს კუთვნილი გასამრჯელოს ნახევარი მივეცი. კრიზისი სალონში არსებული მომსახურების ყველა სპეციალისტს შეეხო“,** — ამბობს მარიამ სანადირაძე.

საჭირო პროდუქციისა და სამუშაო იარაღების გამოწერის შემცირებაზე საუბრობენ სტილისტები. მათი თქმით, თუ მანამდე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან თვეში ერთხელ იწერდნენ თმის საღებავებს, შამპუნებსა და ბალზამებს, ამ თვეში მხოლოდ აუცილებელი, მკაცრად განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია გამოიწერეს დოლარის კურსის აწევისა და კლიენტების შემცირების გამო.

კლიენტურის დეფიციტს უჩივიან კოსმეტოლოგებიც. როგორც ერთ-ერთი სილამაზის სალონის კოსმეტოლოგმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ძირითადად მხოლოდ ძველ კლიენტებზეღა უწევს მუშაობა. **„20 წელზე მეტია, სალონში ვმუშაობ, მაგრამ ასეთი ჩავარდნა არ მქონია. თან ფართიც ქირით გვაქვს აღებული და იმაზე ვღელავთ, როგორი იქნება თვის ბოლო. დღის განმავლობაში თუ 20-ზე მეტ კლიენტს ვიღებდი, ეს დღეები 10 მომხმარებელს ვერ ავცდი“,** — გვითხრა კოსმეტოლოგმა თინა სიხარულიძემ.

**ლალი პაპასკირი**



## ალიან-ჩალიანი



### გორში ნინო რამიშვილის დაბადებიდან 105 წლისთავი აღინიშნა

**საიუბილეო ღონისძიება გორის სულხან ცინცაძის სამუსიკო კოლეჯის ფოიეში, საქართველოს სახალხო არტისტის, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავის, თენგიზ უთმელიძის ფოტოგამოფენით გაიხსნა.**

**„დამთვალიერებელს წარვუდგინეთ 100- მდე ფოტო, რომელიც ანსამბლის შემოქმედებას ასახავს. ეს არის 60-იანი წლები — გამორჩეული პერიოდი, რომელსაც თვითონ ნინო რამიშვილმა „ოქროს ხანა“ უწოდა. ამ პერიოდში ანსამბლში ცეკვავდა ყველაზე ძლიერი შემადგენლობა, იყო უბრწყინვალესი სპექტაკლები-საცეკვაო ნომრები. გორიდან გამოფენების სერია გაგრძელდება მთელ საქართველოში. მინდა, რომ „როკვით განფენილი ქართული გენია“ ნახოს მთელმა საქართველომ, განსაკუთრებით ახალმა თაობამ“, — განაცხადა თენგიზ უთმელიძემ.**

**გამოფენის შემდეგ სამუსიკო კოლეჯის სტუდენტებისა და გორის ქალთა კამერული გუნდის მონაწილეობით კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა. შესრულდა საოპერო არიები შუბერტის, ლაღიძის, მოცარტის, გლინკას, ფალიაშვილის, როსინისა და სხვა კომპოზიტორების შემოქმედებიდან. ქალთა კამერულმა გუნდმა კი შეასრულა ორიგინალური კომპოზიციები ჩლაიძის, კეჭაყმაძისა და ბეგლარიშვილის ნაწარმოებებიდან.**

**ინტერპრესი**


# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ანჟელა წოწორიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანჟელა წოწორია (პირადი №62004012041), მის: თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპუსი 11, სართული 8, ბინა №20;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპუსი 11, სართული 8, ბინა №20 (საკადასტრო კოდი: 01.10.17.032.002.01.020).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5159 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური — 933.56 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 20 მარტი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ანჟელა წოწორია (პირადი №62004012041), მის: თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპუსი 11, სართული 8, ბინა №20;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 20 მარტის, 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გულნარა ჯალაღონიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გულნარა ჯალაღონია (პირადი №62001022838), მის: თბილისი, პ. სააკაძის (ყოფ. ხრამჰესი) №19, ბინა №13;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, პ. სააკაძის (ყოფ. ხრამჰესი) №19, სართული 1, ფართი №7 (საკადასტრო კოდი: 01.16.04.048.003.01.007).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15163.29 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური — 1298.96 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 24 მარტი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:** ზვიად კობახიძე (პირადი №18001054550), მის: ზესტაფონი, ს. ქვედა საზანო;
ელზა ჭანტურია (პირადი №02001002487), მის: აბაშა, ს. სუჯუნა

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 24 მარტის, 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ...და მათ მიკედლებული კასპაროვი



**იარაღს კიევისთვის ვაშინგტონში „ყოფილები“ ითხოვენ**

**ამერიკის შეერთებული შტატების სენატში ამასწინანდელი „უკრაინული მოსმენების“ საპატიო სტუმრები გახდნენ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონი გარი კასპაროვი. ორივე ითხოვდა იარაღს უკრაინის არმიისთვის, მაგრამ შედეგად ვაშინგტონმა გაყინა უკრაინის ეროვნული გვარდიის მებრძოლების მომზადების პროგრამა „მინსკის შეთანხმებათა რეალიზაციის“ დადასტურებათა მიღებამდე.**

ასეთი შედეგი, ალბათ, წინასწარ იყო განსაზღვრული თავად ამერიკული ფსიქოლოგიით, რომლის თანახმადაც, რაც უფრო წარმატებულია ადამიანი ცხოვრებაში, მით უფრო მეტად აფასებენ მის აზრს. მაგრამ არც გარი კიმის ძე, არც მიხეილ ნიკოლოზის ძე მით უმეტეს უფრო ობიექტური მსოფლიო პოლიტიკის ტრიუმფატორების სიაში უკვე დიდი ხანია, აღარ ირიცხებიან, ვინაიდან წონა თავიანთ სამშობლოშიც აღარ გააჩნიათ. საქართველოს მთავარი პროკურატურა ექსპრეზიდენტს ეძებს მთელ მსოფლიოში, რათა დააპატიმროს იგი საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის, კორუფციისა და ხელისუფლების გადამეტების ბრალდებით. და მას შეუძლია დაემალოს სისხლის სამართლის საქმეებს ან კიევში, ან ვაშინგტონში. თანაც პირველი ნავსაყუდებელი— უფრო საიმედოა. გარი კასპაროვმა, როგორც სააკაშვილმა, ასევე დაკარგა სამშობლო, ვინაიდან არ მიიჩნევს თავს თანამედროვე რუსეთის მოქალაქედ. მაგრამ ლატვიამაც კი არ მიიჩნია დიდ ფუფუნებად მიეცა მისთვის თავისი მოქალაქეობა. იქნებ, ზომიერი ბალტიისპირელები შეაშინა ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონის ისტერიულმა ხასიათმა, რომელმაც მოახერხა დაეკარგა თავისი მოკავშირეები რუსი ოპოზიციონერების ბანაკშიც კი. მათ დარჩათ კიდევ ერთი ანაზღაურებადი როლი — „ქორების“ (რუსოფობების) საერთაშორისო ღონისძიებებზე მიწვევა. მაგრამ, თუ სენატის მოსმენების შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მალე ეს გაჭინთვაც არ იქნება ანაზღაურებული. დიახ, ორივე: სააკაშვილი და კასპაროვი — ტიტრებში უკვე აღარ მოიხსენიებენ.

**„როსიისკაია გაზეტა“**

# ჩეხეთმა ევროკავშირთან საქართველოს ასოციაციის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია ერთი თვით გადადო

## მიზეზი თბილისის ხელისუფლების მიერ პრაღის ეკონომიკური ინტერესების შებღალვაა

**ჩეხეთმა თითქმის ერთი თვით გადადო ევროკავშირთან საქართველოს ასოციაციის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია. რესპუბლიკის ქვედა პალატას სამშაბათს უნდა დაეწყო ეს პროცესი. საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით, იგი გადაიტანეს 1 აპრილისთვის.** მიზეზი თბილისის ხელისუფლების მიერ პრაღის ეკონომიკური ინტერესების შებღალვაა.

**„საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიცვა ჩეხეთის კომპანია ენერგო-პროს ინტერესები“,** — მოჰყავთ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლუბომირ ზაურალეკის სიტყვები. საქართველოს ხელისუფლებამ მისთვის დააწესა დამატებითი გადასახადი 1,5 მილიარდი კრონის (დაახლოებით 62 მილიონი დოლარის) ოდენობით. დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტიზამ მოთხოვნა გადახდის შესახებ მიიჩნია იურიდიულად დაუსაბუთებლად.

**პრაღის დიპლომატიის აქტიურობა აიხსნება იმით, რომ თბილისის მოქმედებებმა საფრთხის ქვეშ დააყენა საბიუჯეტო სახსრები. ისინი გამოეყო ენერგო-პროს ჩეხეთის საექსპერტო ბანკის მიერ. საქართველოს საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებმა ნაწილობრივ უკვე აღიარეს ჩეხური კომპანიისადმი მოთხოვნათა დაუსაბუთებულობა და გადასახადი 70-80 პროცენტით შეამცირეს. თბილისი არ გამორიცხავს მისი სრული გაუქმების შესაძლებლობასაც. ეს საკითხი, ჩეხეთში საქართველოს ელჩის ზაალ გოქსაძის თანახმად, გადაწყვეტის სტადიაში იმყოფება.**

ენერგო-პრო საქართველოში უდიდესი უცხოური ინვესტორია. კომპანია სპეციალიზებულია ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე. თავის ქვეყანაში მას 15 ჰიდროელექტროსადგური ეკუთვნის.

პრაღის დამოუკიდებელი პოლიტიკოსები აკეთებენ პროგნოზს, რომ უახლოეს პერსპექტივაში მოხდება თბილისთან აზრთა სხვადასხვაობის მოწესრიგება. რესპუბლიკას არ გააჩნია პრინციპული უარყოფა ევროკავშირთან საქართველოს ასოციაციის შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ.

ამ დოკუმენტის რატიფიკაცია უკვე მოხდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნახევრის მიერ.

**„საკდესი“**

ვითარება

# დაიკარგება თუ მინიმალურად მაინც შენარჩუნდება „სუვერენიტეტი“?

## ცხინვალში რუსეთთან „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ შეთანხმების გასაფორმებლად ემზადებიან

**რუსეთსა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შეთანხმების“ გაფორმებას მიმდინარე კვირაში ელოდებიან. ვლადიმირ პუტინმა ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე მთავრობის წინადადება მიიღო, ცხინვალში კი აცხადებენ, რომ რამდენიმე ტექნიკური საკითხია დასაზუსტებელი, რის შემდეგაც ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართება.**

**დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი ამბობს, რომ ხელმოწერილი დოკუმენტის პარლამენტში რატიფიკაცია უპრობლემოდ მოხდება და ამის შესახებ საპარლამენტო პარტიებს შორის თანხმობა მიღწეულია.**

საქართველოს მთავრობა რუსეთსა და თვითაღიარებულ რესპუბლიკას შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებას საქართველოს ტერიტორიების ანექსიის მცდელობად მიიჩნევს. ამ აზრს იზიარებს საერთაშორისო თანამეგობრობა, თუმცა, რუსეთის გადარწმუნება შეუძლებელია. თბილისში მყოფი ეუთოს გენერალური მდივნის ლამბერტო ზანიერის განცხადებით, რუსეთის მიერ აფხაზეთსა და თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთთან გაფორმებული „ხელშეკრულებების“ გამო შეშფოთებას „ძალიან ხმამაღლა“ გამოხატავენ.

**— „ეს არის მეტი საწინდარი რეგიონში დესტაბილიზაციის. ჩვენ მკაფიოდ გვესმის ეს ყველაფერი. შესაბამისად, ძალიან ხმამაღლა გამოვხატავთ ჩვენს შეშფოთებას ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მარტო შეშფოთება არ არის საკმარისი, ქმედებებია საჭირო. ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ იმ მექანიზმს, რომელიც ჩვენს ხელთ არის — ეს არის დიალოგის ფორმატი, ორგანიზაციის ჩართულობა“, — განაცხადა ლამბერტო ზანიერიმ საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრ თამარ ბერუჩაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე .**

თიბილოვის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტი ითვალისწინებს ეგრეთ წოდებულ საზღვარზე მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საბაჟო სისტემების ერთიანი სივრცის შექმნას. იმის მიუხედავად, რომ ცხინვალში დოკუმენტის სამუშაო ვერსიების გამო დისკუსია არ წყდებოდა, ეს ვერსიები პერიოდულად ოსურ მედიასა და სოციალურ ქსელებში ჩნდებოდა, ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტის ტექსტი კი საგულდაგულოდ გაასაიდუმლოეს და ადგილობრივი მოხელეები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ეს ხელშეკრულება აფხაზეთთან გაფორმებული ხელშეკრულების მსგავსია. დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე სტანისლავ კოჩიევი მიიჩნევს, რომ ეს ხელშეკრულება კიდევ ერთი ნაბიჯია სამხრეთ ოსეთის რუსეთთან საბოლოოდ გაერთიანების გზაზე.

**რაც შეეხება ცხინვალში საზოგადოების განწყობას, ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ხელშეკრულებით დე ფაქტო რესპუბლიკის ეგრეთ წოდებული სუვერენიტეტი არ უნდა შეილახოს, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ რუსეთთან მეტი ინტეგრაციაა საჭირო და, საბოლოოდ, სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციაში უნდა გაერთიანდეს. ორ ნაწილად გაყოფილ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დოკუმენტის საბოლოო ვარიანტზე მუშაობისას ამ საკითხებზე ცხარე დისკუსია და ურთიერთდაპირისპირება იყო. ოსური საზოგადოება დოკუმენტზე ხელმოწერამდე ვერ გაიგებს, ის საბოლოოდ რა სახეს მიიღებს: რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაციის შედეგად დაიკარგება ეგრეთ წოდებული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, თუ მინიმალურად მაინც შენარჩუნდება ეგრეთ წოდებული სუვერენიტეტი.**

**გოგა აფციაური,**
რადიო „თავისუფლება“

## დედამიწის ზურგზე




**სახელმწიფო დეპარტამენტმა დოკუმენტურ ფილმში ყირიმის მიერთების შესახებ რუსეთის „ცრუ მიდგომა“ დაინახა**

**ტელეარხმა „როსია 1“ მოახდინა ანდრეი კონდრაშოვის ფილმის „ყირიმი. გზა რუსეთისკენ“ ანონსირება, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ისაუბრა იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდა ყირიმის მიერთებას. ანონსში იტყობინებოდნენ, რომ დოკუმენტური სურათის გადაღება დაუკავშირეს ყირიმის მიერთების ერთი წლისთავს და მისი გადაღება რვა თვე გრძელდებოდა.**

* * *

**მერკელმა გადაათქმევინა ობამას კიევისთვის იარაღის მიწოდება, ამის შესახებ ისაუბრა გერმანიის ელჩმა ვაშინგტონში**



**„ორი ქვეყნის ლიდერებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ამ პრობლემასთან დაკავშირებით და მივიდნენ საერთო დასკვნამდე იმის შესახებ, რომ ამჟამად არ ღირს განახორციელონ საფრენი თავდაცვითი შეიარაღების მიწოდება უკრაინისთვის“, — ისაუბრა გერმანელმა დიპლომატმა. ობამასა და მერკელის შეხვედრა ერთი თვის წინათ გაიმართა.**

* * *

**ვენესუელის პრეზიდენტმა ობამას ფრანკენშტეინი უწოდა, რომელიც ისწრაფვის დაამხოს მისი მთავრობა**

**აღშფოთებული ნიკოლას მადურო ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს შეიჭრას ვენესუელაში, რათა იგი თავის კონტროლქვეშ აიყვანოს. როდესაც კომენტარს უკეთებდა ბარაკ ობამას განცხადებას სანქციების შემოღების შესახებ მაღალი რანგის ჩინოვნიკების წინააღმდეგ, მან ახსენა ფრანკენშტეინი და „შიზოფრენული გზავნილები“.**

* * *

**პოროშენკომ ისაუბრა დახოცილი უკრაინელი ძალოვანების რაოდენობის შესახებ და პუტინის პოზიციაზე მოლაპარაკებებში — „ის ხელმძღვანელობდა რუსეთის ინტერესების თავისი გაგებით“**

**უკრაინის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უკვე სამჯერ ჰქონდა ურთიერთობა ტელეფონით თავის რუს კოლეგასთან ვლადიმერ პუტინთან 15 თებერვლის შემდეგ: „სამჯერვე — „ნორმალურ ფორმატში“, საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდისა და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მონაწილეობით. ეს საუბრები გრძელდება 2-2 საათი.**





# „ჰაერიდან მიღებული“ დოლარების ძალა

**რუსეთული რუბლის ბოლოდროინდელმა ჩამოქცევამ, რომელიც ოპეკ-ის (ნავთობის მწარმოებელი უმდიდრესი ქვეყნების გაერთიანება) გადაწყვეტილებას მოჰყვა ნავთობმოპოვების დონის არშემცირების თაობაზე, დოლარის შემცველი ახალი მსოფლიო ვალუტის წარმოშობის შესახებ ახალი თეორია წამოწია წინა პლანზე.**

აღმოჩნდა, რომ ნავთობზე მიბმული ფასიანი ქაღალდების მოცულობა 16-ჯერ აღემატება მის რეალურ ღირებულებას! მაშ, იქნებ სწორედ სანავთობო კონტრაქტებია თანამედროვეობის ახალი რეალური ვალუტა, დოლარი კი ნედლეულის თაობაზე გარიგებებში მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებს და თავისთავად არაფერს არ ნიშნავს?

თუმცა, ექსპერტები სხვა აზრისანი არიან. კონტრაქტები – ესაა მაღალშემოსავლიანი ქაღალდები, ისინი მხოლოდ ბირჟაზე მოთამაშეთათვისაა საინტერესო, მაგრამ ვალუტის როლის შესასრულებლად სრულიად გამოსადეგარია მაღალი რისკების გამო.

თავდაპირველად, როცა ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში დოლარმა საერთაშორისო სტატუსი მიიღო, იქ მსოფლიო ოქროს მარაგის 70 პროცენტი იყო თავმოყრილი. ამდენად, ვალუტის ოქროთი უზრუნველყოფა იმ დროს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო. ასე გახდა დოლარი დასავლეთის ქვეყნების მთავარი ვალუტა, რადგან იოსებ სტალინმა ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების რატიფიკაციაზე უარი განაცხადა. თუმცა კი მოგვიანებით, განსაკუთრებით კი ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, დოლარის გავლენის არეალი საგრძნობლად გაფართოვდა. მიუხედავად იმისა, რომ როცა მთელ მსოფლიოში ანგარიშებს დოლარებით ასწორებენ, ამერიკის ხაზინაში დაცული ოქროს დიდი იმედი ნამდვილად არა აქვთ. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მათ ოქროსი კი არა, ამერიკის ეკონომიკის რწმენა აქვთ: **რომ იქაური ფაბრიკები და ქარხნები ისეთ საქონელს გამოუშვებენ, რომელიც აუცილებლად გაიყიდება, რომ ჰოლივუდში გადაღებულ ფილმებს მთელ მსოფლიოში ნახავენ, ფერმერების მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციით ხალხი მარტო ამერიკაში კი არა, სხვა ქვეყნებშიც გამოიკვებება. ამიტომაცაა, რომ დოლარი კიდევ დიდი ხნის მანძილზე ფეხზე მაგრად იდგება.**

ისე, კაცმა რომ თქვას, ვითარება მართლაც გასაოცარია: „ჰაერიდან“ მიღებული ფულით ამერიკამ ქარხნები, ფაბრიკები, ფერმები შექმნა, რომლებიც ოქროთი გამოჭედილ სარდაფებსა და სეიფებს მრავალჯერ სჯობს!

# „საუბრები ღმერთთან“

**ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული წიგნი ევროპის მრავალ ქვეყანაში „საუბრები ღმერთთან“ არის, რომელიც აშკარად მისტიკური ხასიათისაა. გთავაზობთ მის ერთ, მცირედ ამონარიდს:**

ვთხოვე ღმერთს, ამპარტავნება მომაცილოს:

– არა, თავად უნდა თქვა მასზე უარი.

მოთმინება მომეცი, შევთხოვე:

– არა, ის თავად უნდა შეიძინო განსაცდელის გავლისას.

ბედნიერება მარგუნე-მეთქი, შევევედრე:

– არა, მოგეცემა მხოლოდ მადლი, თუ მოახერხებ და მას ბედნიერად აქცევ, შენი საქმეა.

ტკივილი მომაშორე, შევეხვეწე:

– არა, ჩემთან დაახლოებაში შეგეშლება ხელი.

სიბრძნე მომანიჭე, შევემუდარე, ამის პასუხად დადრები გამომიგზავნა, რათა მათი დაძლევა მესწავლა.

ვთხოვე, ადამიანის სიყვარული შემაძლებინე-მეთქი ისეთი, როგორითაც თავად შენ გიყვარს იგი.

მიპასუხა: – ახლა მართლაც მიმხვდარვარ, თუ რა უნდა გეთხოვაო, და გამომიგზავნა ადამიანები, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდებოდა.

ვერ მივიღე ვერაფერი, რაც მინდოდა, მაგრამ მივიღე ყველაფერი, რაც მჭირდებოდა.



# ყველაზე „მაგარი ბიჭი“ ვინ არის?

**სავსებით პროგნოზს დაქვემდებარებული შედეგით დასრულდა რუსეთული „საზოგადოებრივი აზრის“ ფონდის გამოკითხვა „2014 წლის ადამიანის“ გამოსავლენად: ზედიზედ მე-15-ჯერ მისი გამარჯვებული პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გახდა.**

1999 წლიდან მოყოლებული პრეზიდენტი პუტინი პოპულარობის პირველობას არავის უთმობს, თანაც ისე, რომ დისტანცია მასა და სხვა პოლიტიკოსებს შორის წლიდან წლამდე იზრდება. შარშან პუტინს გამოკითხულთა 68 პროცენტმა მისცა ხმა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში მისი რეიტინგი ორჯერ გაიზარდა – 2013 წელს მას ხმა მისცა გამოკითხულთა „მხოლოდ“ 32 პროცენტმა.

რეიტინგის მეორე ადგილზე კვლავ გავიდა სახელმწიფო სათათბიროში პარტია АДПР-ის ფრაქციის ლიდერი **ვლადიმერ ჟირინოვსკი,** თუმცა კი მას შარშანდელთან შედარებით ხმა გამოკითხულთა 2 პროცენტით ნაკლებმა მისცა. ეს რაც შეეხება პოლიტიკას. მაგრამ, მსგავსი აშკარად გამოხატული ლიდერი კულტურის სფეროს არა ჰყავს – გამარჯვებულ კინორეჟისორ **ნიკიტა მიხალკოვს** ხმა მისცა მხოლოდ გამოკითხულთა სამმა პროცენტმა, მეორე ადგილზე კი მომღერალი **იოსებ კობზონი** გავიდა. სპორტსმენებს შორის პირველი გახდა მოციგურავე **ევგენი პლიუშჩენკო** (5 პროცენტი), მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ, შესაბამისად, ასევე მოციგურავეები **იულია ლიპნიცკაია** (4 პროცენტი) და **ადელინა სოტნიკოვა** (2 პროცენტი).



# ჟაკ მარტელის „არაჩვეულებრივი გამოფენა“

**ცნობილი როკ-მუსიკოსის, რამდენიმე წლის წინათ ნარკოტიკების ჭარბი დოზის მიღების გამო გარდაცვლილი ბობ მარლის შემოქმედების თაყვანისმცემლებს ვინ მოთვლის, თუმცა კი, როგორც ჩანს, ჟან მარტელს მათ შორის ცოტა ვინმე თუ შეედრება. ეს კაცი ბობ მარლის იმდენად ეთაყვანება, რომ მისი პორტრეტი... შუბლზე ამოისვირინგა, მერე ამასაც არ დასჯერდა და მთელი სხეული მოიხატა. ამჟამად მის ტანს ასზე მეტი სვირინგი ამშვენებს!**

თვითმხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჟაკ მარტელის სხეულის ნამდვილი „მხატვრული გალერეაა“, რომლის „ექსპოზიციაში“ ეკზოტიკური ფრინველების, ცხოველების, ყვავილების, ხეების, აფრიანი ხომალდების გამოსახულებებია, ასევე მისტიკური ჟანრის „ტილოები“.მაგრამ, უბედურება ის არის, რომ სწორედ ეს „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გახდა იმის მიზეზი, რომ საფრანგეთის ნაპირების მახლობლად მდებარე ჟან მარტელის მშობლიური კუნძულის ჰერნსის საზოგადოებამ იგი... გარიყა!

– სადაც არ უნდა გამოვჩნდე, ხალხი გამირბის, – ჩივის ჟან მარტელი. – ჰერნსი კონსერვატიული ხალხით დასახლებული ციდა კუნძულია, ამიტომაც სვირინგების გამო ისინი რაღაც ურჩხულად მთვლიან. მხოლოდ სამ-ოთხ ბარში თუ მიშვებენ, დანარჩენების კარი ჩემთვის დახურულია.

ჟანის საბედნიეროდ, მისი 25 წლის საცოლე კარენ ჰარდი სატრფოს ტანის მოხატულობით შეწუხებული სულაც არ არის და ხშირად სიამოვნებით ათვალიერებს კიდეც.

– ჟანს რომ შევხვდი, მას არც ერთი სვირინგი არ ჰქონდა, – ამბობს იგი. – ისე კი ყველას აქვს იმის უფლება, თავის სხეულს ის უყოს, რაც მოესურვება. მაგალითად, მე მომწონს მისი სვირინგები – ისინი მის მდიდრულ სულიერ სამყაროს დიდებულად წარმოაჩენენ. ხალხს კი ურჩევნია საკუთარი ნერვები მოთოკოს!..

# უკეთ რომ გახსოვდეთ...

**ამერიკელმა მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ საპენსიო ასაკის კაცი, მეხსიერების დასუსტების მიზეზით, ყოველწლიურად საშუალოდ ერთ თვეს... საკუთარი გულმავიწყობის შედეგების აღმოსაფხვრელად ხარჯავს!**

ეს დრო სჭირდება ერთსა და იმავე ადგილებში ხელმეორედ მისვლას, რაც არანაირად საჭირო არ არის, სხვადასხვა საგნების, უწინარესად, სათვალის, კალმისტრის, მობილური ტელეფონის, ტელევიზორის პულტის და ა.შ. გაუთავებელ და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, ხშირად მეტად ხანგრძლივ ძებნას.



არადა, ეს ახალი პრობლემა სულაც არ არის, ყოველ შემთხვევაში, მეხსიერების გაუმჯობესების სხვადასხვა მეთოდიკებს ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამუშავებდნენ, თანაც ამას დიდი წარმატებითაც აკეთებდნენ, რადგან მათ მსოფლიოში დღესდღეობითაც მრავლად იყენებენ. თანამედროვე მეცნიერები კი საკუთარი მეხსიერების გასავარჯიშებლად, კროსვორდების ამოხსნას, ასევე უცხო ენების სწავლასა და ლექსების დაზეპირებას გვირჩევენ.

# თუ ოჯახის დანგრევა გინდათ...

**იაპონიის კუნძულ ოკინავაზე უხსოვარი დროიდან ერთი მეტად უჩვეულო ტრადიციაა შემორჩენილი.**

ერთმანეთთან ძაღლი-კატასავით მოჩხუბარე ცოლქმარი ამ კუნძულის მახლობლად „სიკვდილმისჯილთა კლდედ“ წოდებულ ციდა კუნძულზე მიჰყავთ. ამ უსიცოცხლო კლდეზე ყოფის მეტად მკაცრი პირობების გამკლავება იმდენად დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რომ მუდამ ერთმანეთის მომდურავი ცოლქმარი უწინდელ შუღლს ივიწყებს და სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლას ერთობლივად იწყებს. საგულისხმო კი ის არის, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში შინ მშვიდობით დაბრუნებული უწინ ერთმანეთზე დამდურებული ცოლ-ქმარი ქორწინების დარღვევაზე აღარ ფიქრობს.

# გამოუცნობი „ციცინათელები“ ცაში...

**რამდენიმე კვირის წინათ რუსეთის ქალაქ ლიპეცკის თავზე სამხედრო-საჰაერო ავიაცენტრის სამხედრო მოსამსახურემ ალექსანდრე პ-მ. ხელმძღვანელობას უპატაკა, რომ ცაში გამოუცნობი მფრინავი ობიექტი შენიშნა.**

მას პერიმეტრზე უწესრიგოდ მოციმციმე 15 თუ 20 მწვანე ფერის აეროსანავიგაციო შუქი ენთო. დამკვირვებლებმა მაშინვე შეკითხვა გაგზავნეს სამეთაურო პუნქტში, ვინაიდან ეგონათ, რომ ეს ვერტმფრენების რგოლი იყო, მაგრამ იქიდან უპასუხეს, რომ ამ რაიონში არანაირი სანქცირებული ფრენა არ ხორციელდებოდა. ამ ობიექტს (თუ ობიექტთა ჯგუფს) დაახლოებით7-10 წუთის განმავლობაში ხედავდნენ, შემდეგ ის ვორონეჟის მიმართულებით ღრუბლებში გაუჩინარდა.

სამხედროებმა მაშინვე ლიპეცკის სამხრეთით ზონის ქალაქების – ვორონეჟის, ლუგანსკის, მარიუპოლის, დონის როსტოვის, კრასნოდარის, სოჭისა და ა.შ. – დამკვირვებლებს შეტყობინება გაუგზავნეს და ცაზე დაკვირვება სთხოვეს. იმავე ღამეს მანათობელი შუქები შენიშნეს ჯერ ნოვოჩერკასკის, შემდეგ კი ყუბანის თავზე. ამასთან, ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში მათი გადაფრენის დროს უცბად ქრებოდა სინათლე და ძაღლები ყველანი ერთად იწყებდნენ ყეფას. მერე ანალოგიური ცნობები მიიღეს უკვე თურქეთიდან, მომდევნო დილით კი –ინდოეთიდან. ავიაკომპანიის „ჯეტ ეირვეისის“ მფრინავი ირწმუნება, რომ გამოუცნობი მფრინავი ობიექტი ახმადაბადიდან პუნში ფრენის დროს ნახა. ამრიგად, მოკლე დროში გამოუცნობი მფრინავი ობიექტის გამოჩენის თაობაზე ცნობები ათობით ქალაქიდან მიიღეს, ამდენად იმის თქმა, რომ ეს ფალსიფიკაციაა, არ შეიძლება, რადგან დამკვირვებლებს შორის სამხედროები და გამოცდილი მფრინავები იყვნენ, რომელთა შეცდომის ალბათობა ძალიან მცირეა.

წელიწადში გამოუცნობი მფრინავი ობიექტების გამოჩენის ათობით შემთხვევა ფიქსირდება, როცა დაკვირვება ჯგუფიდან ჯგუფამდე, ქალაქიდან ქალაქამდე, ზოგჯერ კი სულაც ქვეყნიდან ქვეყნამდე გადადის. იყო შემთხვევა, როცა გამოუცნობი მფრინავ ობიექტზე დაკვირვება 15 საათის მანძილზე (!) მიმდინარეობდა. ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში 150-200 შემთხვევა მაინც რეგისტრირდება, რომელთა ახსნა ცნობილი ბუნებრივი მოვლენებით ან ტექნოგენური ფაქტორებით შეუძლებელია.



◉ ჭიდაობა

# შვიდი ბულგარული ჯილდო

**პოლონურ ვალბრზიხში 24-29 მარტს პირველად ჩატარდება 23-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც იასპარეზებენ.**



ჩვენი ბიჭები მონდომებით ემზადებიან ამ შეჯიბრებისთვის. დასტურად სოფიაში გამართული პეტკო სირაკოვისა და ივან ილიევის მემორიალიც გამოდგება — სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან პაექრობაში ჩვენმა 23-წლამდელმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 4 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ რობერტ დინგაშვილი (50), ნიკოლოზ კენჭაძე (70), ტარზან მაისურაძე (74) და ირაკლი მწითური (86), ხოლო გიორგი ჩხარტიშვილი (86), ლაშა ჯელაძე და როლანდ ანდრიაძე (ორივე — 125) მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

მაისურაძე ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონია. სოფიაშიც კარგად იჭიდავა. ფინალში თურქ ისმაილ ენგინს 10:8 მოუგო. დინგაშვილმაც გადამწყვეტ პაექრობაში თურქ იუცე მეჰმეტს აჯობა. 86 კილოში თავი ისახელა მწითურმა — ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ ჩხარტიშვილს გაუსწრო. ფინალში ასევე თურქ გაზი მეჰმედს გაუსწორდა იოლად. საგულისხმოა კენჭაძის გამოსვლაც, რადგან სოფიაში ასაკით ბევრად უფროსები დაჯაბნა და ოქროს მედალი მოიპოვა.

**ლაშა დიდია**

# ერთი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“

**უნგრულმა სომბათჰეიმ, ტრადიციულად, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა „დიდი პრიზის“ გათამაშებას უმასპინძლა. საქართველოს ნაკრებმა 3 მედალი მოიპოვა — 1 „ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“**. ქართველთაგან სხვებზე უკეთ ევროპის პრიზიორი გიორგი ცირეკიძე (80) გამოვიდა: პირველ წრეში მან ქულებით დაამარცხა მასპინძელი ნორბერტ ურბანკოვიჩი — 9:1, მერე ირანელ ალი ზინატირეფანის აჯობა — 3:2, ასევე სამი ქულა აართვა ეგვიპტელ აბდულ ტარეკ მოჰამედს, თავად კი მხოლოდ ქულა დათმო. ნახევარფინალში ფრედ — 4:4 დაასრულა შეხვედრა ამერიკელ პატრიკ იოსეფთან, მაგრამ უკეთესი ხარისხის ქულებმა უშველა. სამაგიეროდ, გადამწყვეტი პაექრობა ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონ პეტერ ბაცსისთან (უნგრეთი) 0:2 წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მესამე ადგილებზე ოლიმპიადის ვიცე და ევროპის ჩემპიონი რევაზ ლაშხი (66) და მათე სოფაძე (85) გავიდნენ.

**გივი გაგუა**

◉ რაგბი

# რუსებთან საომრად ემზადებიან

**საქართველოს და რუსეთის მორაგბეთა ნაკრები გუნდების პაექრობები დიდ ინტერესს იწვევს და ყოველთვის დაძაბულობით გამოირჩევა. მათი წლევანდელი დაპირისპირებაც არ იქნება ამ მხრივ გამონაკლისი. ეს მატჩი შაბათს ვაკეში 17 საათზე გაიმართება — „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ მორიგ ტურში „ბორჯღალოსნები“ ჩრდილოელ მეზობლებს უმასპინძლებენ.** ჩვენმა მორაგბეებმა წლევანდელი პირველობის წინა ტურებში სამ მეტოქეს სძლიეს და 13 ქულით ლიდერობენ, რუსები კი 9 ქულით მესამე ადგილზე არიან. ქართველები ორი დღეა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ შეიკრიბნენ და მზადებას შეუდგნენ. ეროვნული გუნდის ახალზელანდიელმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა გაფართოებულ შემადგენლობას (29 მორაგბე) უხმო. ტრავმების მოშუშების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდნენ მამუკა გორგოძე („ტულონი“), დავით ზირაქაშვილი („კლერმონი“) და ვახტანგ მაისურაძე („ალბი“), თუმცა ყველა ძლიერის თავმოყრა მაინც ვერ მოხერხდა, რადგან ისევ არ არიან მწყობრში შალვა მამუკაშვილი („სეილ შარქსი“), დავით ქუბრიაშვილი („სტად ფრანსე“), ჯაბა ბრეგვაძე (უგუნდო), ვასილ კაკოვინი („ტულუზი“), გიორგი ჩხაიძე („ლილი“), დავით ხინჩაგიშვილი („მეტრო რასინგი“), ვიქტორ კოლელიშვილი („კლერმონი“), დიმიტრი ბასილაია („პერპინიანი“) და თედო ზიბზიბაძე („პერიგო“).



საქართველოს ნაკრები შაბათის ორთაბრძოლისთვის ასეთი შემადგენლობით ემზადება: მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“), კარლენ ასეიშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი (ორივე — „ბრივი“), სიმონ მაისურაძე („ვალანსი“), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“), დავით ზირაქაშვილი („კლერმონი“), ლევან ჩილაჩავა („ტულონი“), გიორგი ნემსაძე („ტარბი“), ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“), კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“), ვახტანგ მაისურაძე („ალბი“), მამუკა გორგოძე („ტულონი“), შალვა სუთიაშვილი („მასი“), ლაშა ლომიძე („ბეზიე“), გიორგი თხილაიშვილი („ბათუმი“), ბექა ბიწაძე („ლოკომოტივი“), გიორგი ბეგაძე („ყოჩები“), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“), ვასილ ლობჟანიძე („არმაზი“), ლაშა ხმალაძე („ლელო“), ლაშა მალაღურაძე („ბაგნერე“), მერაბ შარიქაძე („ორიაკი“), დავით კაჭარავა („ენისეი“), თამაზ მჭედლიძე („აჟენი“), ალექსანდრე თოდუა („ლელო“), ალექსანდრე ხუციშვილი („ყოჩები“), მურაზ გიორგაძე („არმაზი“), მერაბ კვირიკაშვილი („მონლუსონი“), გიორგი აფციაური („აია“).

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა კრასნოიარსკის „ენისეისა“ და „კრასნი იარის“, მონინოს ვვას და მოსკოვის „სლავას“ მორაგბეები მიიწვია გუნდში. ესენი არიან: სერგეი ნოვოსელოვი, სტანისლავ სელსკი, ინოკენტი ზიკოვი, ევგენი პრონენკო, ანდრეი ტემნოვი, დიმიტრი კროტოვი, ალექსეი შერბანი, რამილ გაისინი, იური კუშნარიოვი, დიმიტრი გერასიმოვი, იგორ კუშნარიოვი, პაველ ბუტენკო, ნიკიტა ილენკო, ნიკოლაი სერკოვი (ყველა-„ენისეი“), ანდრეი გორბუზოვი, ვიქტორ გრესევი, რუშან იაგუდინი, ანტონ რიაბოვი, ვასილი არტემევი, ანდრეი ოტროკოვი, ვლადიმირ რუდენკო, ევგენი კოლომიიცევი („კრასნი იარი“), ალექსეი ვოლკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, სერგეი სეკისოვი, ალექსეი პანასენკო, არტიომ ფატახოვი, მიხაილ ბაბაევი (ყველა-ვვა), ანდრეი იგრეცოვი, დენის ანტონოვი („სლავა“).

**IV ტური. 14 მარტი. საქართველო-რუსეთი, პორტუგალია-ესპანეთი, გერმანია-რუმინეთი.**

**ლექსო ცინცაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 3 | 3 | 0 | 0 | +74 | 1 | 13 |
| **რუმინეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | +45 | 3 | 11 |
| **რუსეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | +4 | 1 | 9 |
| **ესპანეთი** | 3 | 1 | 0 | 2 | -11 | 1 | 5 |
| **პორტუგალია** | 3 | 1 | 0 | 2 | -24 | 1 | 5 |
| **გერმანია** | 3 | 0 | 0 | 3 | -88 | 0 | 0 |

◉ ფეხბურთი

# ცხადაძე იწყებს

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახი ცხადაძემ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებს უმასპინძლა. მან მოახლოებული ორი თამაშის წინ ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.**

კახი ცხადაძის ოფიციალური დებიუტი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე 29 მარტს მსოფლიოს ჩემპიონ გერმანიასთან ევრო 2016-ის შესარჩევ შეხვედრაში შედგება, მანამდე ოთხი დღით ადრე კი, 25 მარტს, საქართველო ასევე თბილისში უმასპინძლებს მალტას. თამაში ამხანაგურია.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას კახი ცხადაძემ განაცხადა:

...მიუხედავად იმისა, რომ კლუბშიც ვმოღვაწეობ, ნაკრების წევრებს და კანდიდატებს თვალს ვადევნებ. ახლაც, თქვენთან შეხვედრის შემდეგ, ქუთაისში მივემგზავრები, სადაც „ტორპედოს“ და „სამტრედიის“ თამაშს დავესწრები.

...სია, რომელსაც დღეს გაეცანით, გაფართოებულია. როგორც ხედავთ, ძირითადად კვლავ ლეგიონერებს ვეყრდნობი, თუმცა ხაზგასმით ვამბობ, რომ ნაკრების კარი ყველა იმ ფეხბურთელისთვისაა ღია, ვინც სათანადო ფორმაში იქნება. ცხადია, დაახლოებით ვიცი ვინ მოხვდება 22 კაცში, მაგრამ შანსი ყველას უნდა ჰქონდეს.

...გერმანიასთან მატჩის წინ მალტის ნაკრებთან ამხანაგური პაექრობა გველის. ამ თამაშს გერმანიასთან მოსამზადებლად გამოვიყენებთ — ახლა კანდიდატების საქმეში ნახვის დრო არაა. რა თქმა უნდა, მერჩივნა სხვანაირად ყოფილიყო, მაგრამ ყველას მოგეხსენებათ რა სიტუაციაში ჩავიბარე გუნდი, ამიტომ მალტელებთან ერთგვარ რეპეტიციას გავივლით. აქვე დავძენ, რომ საწვრთნელი შეკრებისას დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვექნება, თამაშის დღეს კი, 29 მარტს ვგულისხმობ, სტანდარტულ სიტუაციებს დავამუშავებთ.

...ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრს 22 მარტსაც უწევს თამაში. ისინი ტურის შემდეგ შემოგვიერთდებიან, შეკრება კი 19 მარტს დაიწყება — ბაქოდან თბილისში სწორედ 19-ში ჩამოვალ.

...ამ შესარჩევში ნაკრებს არცთუ სახარბიელო სტარტი ჰქონდა, მაგრამ ვთვლი, რომ დაკარგული ჯერ არაფერია. მიმაჩნია, რომ ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ის დასასრული, რაც გუნდმა ბოლო ორ საკვალიფიკაციო ტურნირში აჩვენა - ბოლოსწინა ადგილს ვგულისხმობ.



...მჯერა, რომ 13 ივნისს, პოლონეთში თამაშის წინ, უკეთ ვიქნებით მომზადებულნი. თითქმის გადაწყვეტილია, რომ პოლონეთში ჩასვლამდე ავსტრიაში გავივლით შეკრებას, სადაც ერთ ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ, სავარაუდოდ მაკედონიასთან.

...შემიძლია დავადასტურო, რომ გია ცეცაძე, რომელიც წარმატებით მოღვაწეობდა ასაკობრივ ნაკრებში, ჩემი თანაშემწე იქნება. ფიზმომზადების მწვრთნელად უცხოელ სპეციალისტს ვიწვევ, მეკარეთა მწვრთნელად კი კვლავ მამუკა აბუსერიძე იმუშავებს. რაც შეეხება ექიმს, ეს მისია მერაბ ვარძუკაშვილს დაეკისრება. მასთან ადრეც ვთანამშრომლობდი და მის კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება. მოგვიანებით დავასახელებ კიდევ ერთ თამაშემწეს.

...რაც შეეხება კაპიტანს, სამკლაური კვლავ ჯაბა კანკავას განკარგულებაშია. მისი შეცვლის საკითხი არც დამდგარა. მე და ჩემი გუნდი სრულად ვენდობით ჯაბას და ვთვლი, რომ ის ამ პასუხისმგებლობას კარგად გაუმკლავდება.

...მინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა ცივილური იყოს. გარწმუნებთ: ყველა ჟურნალისტთან კომუნიკაციისთვის მზად ვარ. აქვე ხაზგასმით ვამბობ, რომ ნაკრების თამაშის ხარისხსა და შედეგზე პასუხისმგებელი მხოლოდ მე ვარ. დანარჩენს, თუ ვინ მოხვდება ნაკრებში, ვინ ითამაშებს და სხვა წმინდა სათამაშო საკითხებს, მე გადავწყვეტ ჩემს გუნდთან ერთად“.

### ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა

**მეკარეები:** გიორგი ლორია, ნუკრი რევიშვილი, ომარ მიგინეიშვილი, რევაზ თევდორაძე

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, გიორგი ნავალოვსკი, ლაშა თოთაძე, გიორგი ფოფხაძე, ლაშა სალუქვაძე, ლაშა დვალი, საბა კვირკველია, ალექსანდრე ამისულაშვილი, მამუკა კობახიძე, ზურაბ ხიზანიშვილი.

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, კახა მახარაძე, ბუბა დაუშვილი, ჯანო ანანიძე, გიორგი მერებაშვილი, ვალერი ყაზაიშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა ძალამიძე.

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე, მათე ვაწაძე, ოთარ მარცვალაძე, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი ჭანტურია.

**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან

# ოპტიმისტი ვანესა ჯერი

**პერუელი მოდელი ვანესა ჯერი, რომელიც პერუს საფეხბურთო ნაკრების თილისმადაა მიჩნეული, დარწმუნებულია, რომ მისი მშობლიური ქვეყნის საფეხბურთო ნაკრები ამჯერად აუცილებლად გავა მსოფლიოს ჩემპიონატზე და იქაური ფეხბურთის წინსვლა სულ მალე თვალსაჩინო ამბავი გახდება.**

თამამი ფოტოების გადაღების მოყვარული ვანესა ამბობს, რომ პერუში ყველას ყელში ამოუვიდა მათი ქვეყნის ნაკრების წარუმატებლობები და ახალი და წარმატებული პერუს ნაკრების მშენებლობაში ყველა ამ ქვეყნის მოქალაქე თავის წვლილს დადებს. ამ დიად საქმეში სხვებს, რა თქმა უნდა, არც ეს მწყაზარი ქალბატონი ჩამორჩება.

როგორც იცით, პერუს საფეხბურთო ნაკრები უკანასკნელ ათწლეულებში ვერაფრით ახერხებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას და ბოლივიის ბეჩავ ნაკრებთან ერთად სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ეტაპის მუდმივ მაჩანჩალადაა ქცეული. რამდენად გამართლდება ვანესა ჯერის ოპტიმიზმი, ამას მალე შევიტყობთ.

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ეპიტაფია

# ქეთევან ანჯაფარიძე

## ადამიანებისა და სიცოცხლის სიყვარული არ დაშრეტია...



საქართველოს სამედიცინო ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თეთრხალათიან მკურნალთა ძველი არმიის წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თერაპევტ-ნეფროლოგი, ღირსების ორდენის კავალერი **ქეთევან ანჯაფარიძე**.

მან ცხოვრების დიდი და რთული გზა განვლო: 1922 წლის 9 ნოემბერს, მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში, ლავრენტი ანჯაფარიძისა და ფენია ფალავას ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაიბადა. მამა იურისტი იყო და მოსკოვში მუშაობდა, დედას პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი დაემთავრებინა. მამა ისე გადაასახლეს, საქართველოში დაბადებული ტყუპი გოგონები — ქეთევანი და თამარი არც უნახავს.

გადიოდა წლები ... სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ ქეთევანმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა საბუთები, მაგრამ ფრიადოსანთა დიდმა კონკურსმა ხელი შეუშალა სტუდენტად გახდომაში. მალე ქეთევან ანჯაფარიძე სოხუმში წამყვან თანამდებობაზე დანიშნეს. ერთ წელიწადში სამამულო ომიც დაიწყო... მთელი ენერგია სამშობლოს, ფრონტს — ასეთი იყო მისი დევიზი და დააჯილდოვეს კიდეც მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

1949 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სოხუმში ნამოღვაწარი, ისევ აფხაზეთში გააგზავნა სამუშაოდ „ხელმძღვანელ სამუშაოზე გამოსაყენებლად“.

მალე სოხუმის მთავარ ეპიდემიოლოგად, შემდეგ კი — ჯანდაცვის სამინისტროს ეპიდსაწინააღმდეგო სამმართველოს უფროსად დაინიშნა. შვიდი წლის განმავლობაში ქეთევან ანჯაფარიძე აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი იყო.

1960 წლიდან იგი თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, თერაპიული განყოფილების ექიმი-ორდინატორია. 1974 წელს მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო, როდესაც საქართველოში პირველად გაიხსნა ნეფროლოგიური განყოფილება, მის გამგედ ქეთევან ანჯაფარიძე დაინიშნა. 30 წლის განმავლობაში განყოფილება საქმისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა, აქ ინერგებოდა კვლევისა და მკურნალობის ახალი, თანამედროვე მეთოდები, დიდი ყურადღება ექცეოდა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

35 წლის განმავლობაში ქეთევან ანჯაფარიძე საქართველოს სანიტარიული ავიასამსახურის ექიმი-კონსულტანტიც იყო. იგი ქართველ მედიკოსებთან ერთად, ოპერატიულად ჩავიდა სპიტაკში და მიწისძვრით დაზარალებულებს დაეხმარა...

რესპუბლიკის მთავარი თერაპევტ-ნეფროლოგი აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. საზღვარგარეთ გამართულ კონგრესებსა თუ კონფერენციებში მოხსენებებით გამოდიოდა. ღვაწლმოსილმა მედიკოსმა მრავალი ჯილდო, მადლობა და წოდება მიიღო: ჯანდაცვის ფრიადოსნის მედალი, უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდება, ღირსების ორდენი... მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო პირად არქივში შენახული პაციენტთა სამადლობელი წერილები...

სიკეთით მადლმოსილი ქალბატონი საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წევრი იყო, მათთან ერთად მრავალ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდა. მისი შრომა, როგორც ქველმოქმედისა, ამ მხრივაც მნიშვნელოვანი იყო. მისი საიუბილეო, 90 წლისთავი ასოციაციამ გამორჩეულად აღნიშნა.

გვახსენდება ქეთევან ანჯაფარიძის მონაყოლი: „ერთმა ფრანგმა თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე ყველაფერს მიაღწია. პოეტობა დაიწყო, ლექსები მოუწონეს, მერე ხატვაც მოსინჯა და, არიქა, რა კარგი მხატვარი ყოფილაო, — შეაქეს. ბოლოს კი უთხრეს, თქვენ უბედნიერესი კაცი ხართ, ყველა ეტაპზე ბედნიერი იყავითო. დაფიქრდა ეს კაცი — არაო, ვერ გეტყვით, რომ ბედნიერი ვიყავი, მე მხოლოდ კარგად ვიცხოვრეო“...

ქ-ნი ქეთევანის განმარტებით, ბედნიერების ცნება რთულია, წუთები და წამები უფრო არის, ვიდრე პერიოდი... თავად მან მეტისმეტად საქმიანად, მაღალი ზნეობით, ნაყოფიერად იცხოვრა მთელი 92 წელი.

იგი ვერაზე, პატარა, მყუდრო სავანეში ცხოვრობდა, ბედნიერად გრძნობდა თავს... მართალია, ბოლო დროს თეატრებში, მუზეუმებსა და გამოფენებზე წასვლას ველარ ახერხებდა, მაგრამ უწინდელი ხალისი არ დაუკარგავს. ბევრს კითხულობდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის სიწმინდის საკითხს. ქვეყნის მაჯისცემას მიყურადებული, შთაბეჭდილებებს მეგობრებსა და ახლობლებს, ნათლულთა მთელ პლეადას ტელეფონით უზიარებდა, ისინი სახლშიც ხშირად სტუმრობდნენ, მას წუთით არ ტოვებდნენ მარტოს. მის ბინაში გამუდმებით რეკავდა ტელეფონი. დღე არ გავიდოდა, რომელიმე ახლობელს არ შეევლო და თბილად არ მოეკითხა... ისიც მაშინვე დაახვედრებდა მათ ხან კარგ ლექსს, ხან წერილს გაზეთებიდან, ხან ახალ ნაქარგს... თითქმის საუკუნეგავლილ ქალბატონს წლებთან და დამსახურებებთან ერთად ყაყაჩოც უგროვებია. — „მგონია, ზოგჯერ ამ ქვეყანაზე ამ ყვავილივით უნდა მოხვიდე!“ — ხშირად იმეორებდა იგი პოეტის ლექსს და იქვე დასძენდა: „ყაყაჩო საქართველოს სიმბოლოა, დაღუპული ვაჟკაცების სისხლიცაა, ზოგჯერ კი მხურვალე ქართული სიყვარულია...“

ქალბატონი ქეთევანი გონიერი ქმედებით ყოველთვის წინ უსწრებდა, აღემატებოდა დროსა და კონკრეტულ სიტუაციას. მთელი არსებით და მოწოდებით ექიმი, არისტოკრატიზმით, ღვთისაგან ბოძებული ნიჭით გამორჩეული, ღირსებით ცხოვრობდა, ყოფას უმსუბუქებდა, ამხნევებდა ადამიანებს... სიკეთეს თესდა.

აი, რატომ იყო ამ სიყვარულით შთაგონებული ქალბატონის გზა დალოცვილი და მადლიანი!

**საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“**

---

**მარინე, მაია კვეზერელი-კოპაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამზრდელი ნათლიის, ღირსებით, ნიჭით, გონიერებით გამორჩეული ქალბატონისა და დამსახურებული ექიმის**

**ქეთევან ანჯაფარიძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 III, განსვენებულის ბინაზე, ძმები კაკაბაძეების 8, დაკრძალვა 12 III, 15 სთ. გამოსვენება წმ. ნინოს სახელობის ეკლესიიდან (კუკიის სასაფლაო).**



**ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, ელენე მანჯგალაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, ცნობილი ექიმის, გამორჩეული ქალბატონის**

**ქეთევან ანჯაფარიძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება გამოჩენილი კინომსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, ბატონ**



**ოთარ კობერიძის**

**გარდაცვალებას. მის მიერ განსახიერებული როლები დიდხანს დარჩება ქართული კინოს ისტორიაში.**

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს იოსებ გობეჩიას, რომელიც მთელი 60 წელიწადი ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი იყო აფხაზეთში, გარდაეცვალა მეუღლე**

**ცაცა პაპასკირი**

**და სამძიმარს უცხადებს როგორც თვითონ ბატონ იოსებ გობეჩიას, ისე განსვენებულის ოჯახის სხვა წევრებს და მთელ სანათესავოს.**

---

**სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი თანამშრომლის, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის**

**ეთერ სეხნიაშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

## როგორ ვზრდით მომავალს?

### რატომ იწამლებიან ბავშვები?

**უფლებადამცველი, ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე საბავშვო ბაღებში უხარისხო ხორცპროდუქტების შეტანის კორუფციულ სქემაზე საუბრობს.**

**როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, შედეგად, საბავშვო ბაღებში მოწამვლის ფაქტებია დაფიქსირებული.**

**მისი თქმით, კორუფციულ სქემაში ჩართულები არიან მერიის, ბაღების მართვის სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები.**

**„თბილისის მერიის ბაღების მართვის სააგენტო ხელს უწყობს ამ პრობლემის გაღვივებას, საუბარია უხარისხო პროდუქტის შეტანაზე კვების ბლოკში, რაც იწვევს პატარების ჯანმრთელობაზე უარყოფით ასახვას. ბევრი მათგანის მშობელი გარკვეული სახის ფინანსურ და მორალურ ზარალს ღებულობს. აქედან გამომდინარე, მერიის მაღალჩინოსნები, რომლებიც ამ კორუფციულ სქემაში არიან გარეული, ნაცვლად იმისა, რომ ბავშვმა მიიღოს უმაღლესი ხარისხის პროდუქტი, ღებულობს 7-ლარიან ხორცს, რითაც წამლავენ ჩვენს პატარებს“, — განაცხადა ბურჯანაძემ.**

**მისი თქმით, კორუფციულ სქემაში ჩარეულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარკვეული ჯგუფიც, რომელსაც აღნიშნულ საკითხებზე ინსპექტირება ევალება.**

**„ბაგა-ბაღებისთვის თბილისში გამოყოფილია 86 მილიონი, კვების ბლოკზე აქედან 45% მოდის. აქედან 10%-ს თუ კი ე.წ. ატკატის სახით და ფასების ლავირებით მიიღებენ, წელიწადში 5 მილიონი გამოდის, რაც სოლიდური თანხაა“, — განაცხადა გია ბურჯანაძემ.**

**მისი თქმით, მასალები უკვე მიეწოდა შესაბამის უწყებებს და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, რომ მერიის ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა გათავისუფლებაზე განცხადება დაწეროს. ამასთან, მისი თქმით, გათავისუფლება მოუწევს ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლების ნაწილს.**

**უფლებადამცველმა მედიას ბაგა-ბაღიდან ამოღებული ხორციც აჩვენა, რომელიც, მისი თქმით, უვარგისია.**

### სურსათის სააგენტო კერძო საბავშვო ბაღების შემოწმებას იწყებს

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, მუნიციპალურის შემდეგ, კერძო საბავშვო ბაგა-ბაღების კვების ბლოკების შემოწმებას იწყებს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, მიმდინარე წელს ინსპექტირება ჩატარდა თბილისის 62, შიდა ქართლის 27 და ქვემო ქართლის 46 ბაღში.**

**მათივე ინფორმაციით, 2014 წელს გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო გურიაში დაჯარიმდა ექვსი ბაღი. თბილისის რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღში სასადილოში მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო გაიცა რეკომენდაციები, ხოლო ერთ-ერთ მუნიციპალურ ბაღში სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ვადაგასული კვერცხი აღმოაჩინეს.**

**შემოწმების შედეგები ცხადყოფს, რომ საბავშვო ბაგა-ბაღების უმეტესობა აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, თუმცა, ზოგიერთი ბაღის კვების ბლოკში კვლავ პრობლემად რჩება მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, რის გამოსასწორებლადაც მათ კონკრეტული ვადები აქვთ დადგენილი.**

**სურსათის ეროვნული სააგენტო საბავშვო ბაგა-ბაღებზე კონტროლს პერმანენტულად განახორციელებს, კერძო ბაღების მფლობელებს კი მოუწოდებს, დარეგისტრირდნენ ბიზნესოპერატორად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კანონმდებლობის შესაბამისად, 500 ლარით დაჯარიმდებიან.**

---

## კრიმინალი

# მცხეთის გამგებლის წარმომადგენელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

**გამოძიებით** დადგენილია, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ლისის ტერიტორიულ ორგანოში კურბანალ კარაევმა სოფელ ნაფეტვრების ტერიტორიაზე განთავსებული სამშენებლო ნარჩენების უკანონოდ მოწყობილ ნაგავსაყრელზე, სამშენებლო ნარჩენების გადაყრის უფლებისა და შემდგომში მფარველობისა და საჯარიმო სანქციისგან არიდების სანაცვლოდ, ერთ-ერთი საწარმოს დირექტორს ქრთამის სახით მოსთხოვა 4 000 ლარი. საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული დააკავა ქრთამის აღების ფაქტზე.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, დანაშაულებრივ ფაქტზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

## ჩვენი კარაბადინი

# სიახალგაზრდავის აბები

### ბევრი მკურნალობს აბებით ისე, რომ არ იცის ამის შესახებ



**ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ აბების შესახებ სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის წერდნენ მხოლოდ ფანტასტიკურ რომანებში. დღეს სტატიები მათ შესახებ უფრო ხშირად იბეჭდება სერიოზულ სამეცნიერო ჟურნალებში. პრეპარატები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, შევინარჩუნოთ ახალგაზრდობა და უკან დავწიოთ სიბერე, უკვე არის.**

### სიბერე — ავადმყოფობა

**— დღეს ცნობილია ორასზე მეტი ნივთიერების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ, გაგვიხანგრძლივოს სიცოცხლე (მათ ჰეროპროტექტორებს უწოდებენ). საინტერესოა, რომ მათ შორის არის საკმაოდ ბევრი სამკურნალო საშუალება, რომლებიც უკვე ოფიციალურადაა დარეგისტრირებული, — გვიხსნის სიცოცხლის გაგრძელების ცნობილი სპეციალისტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსეი მოსკალიოვი. — მაგრამ ამ წამლების ინსტრუქციებში ვერ წაიკითხავთ, რომ ისინი შეიძლება დაინიშნოს მოხუცებულობის შენელებისთვის**. როგორ ავხსნათ ეს? წამლებს რეგისტრაციაში ატარებენ კონკრეტულ დაავადებათა მკურნალობისთვის, მოხუცებულობა კი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ოფიციალურად დაავადებად არ ითვლება. ამას მივუმატოთ ისიც, რომ ადამიანის სიცოცხლის არცთუ ისე მცირე ხანგრძლივობის გამო გამოცდები მისი გახანგრძლივებისთვის შეიძლება მეტად ხანგრძლივი იყოს. ამიტომ პრეპარატების ეს თავისებურებანი, როგორც წესი, ტესტირებულია მხოლოდ ლაბორატორიულ ცხოველებზე და ამიტომაც ინფორმაცია მათ შესახებ ჯერჯერობით არ შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც რეკომენდაცია თვითმკურნალობისთვის. და თუ გაჩნდება მათი გამოყენების აუცილებლობა, უნდა გავიაროთ კონსულტაცია ექიმთან.

ერთ-ერთი ასეთი პრეპარატია რაპამიცინი. მას იყენებენ როგორც სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატს და ორგანოების გადანერგვის შემდეგ, რომ ისინი არ გაითიშონ. ექსპერიმენტში იგი ზრდიდა საფუარების, ნემატოდების (მრგვალი ჭიების), დროზოფილებისა (მწერების სახეობა) და ბზერი თაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობას. თანაც თაგვებზე ეს მოქმედება დადასტურებულია რვა სხვადასხვა დამოუკიდებელ გამოკვლევაში. რაპამიცინი ბლოკავს გარკვეულ ცილას და ამით ორგანიზმში იწვევს ისეთსავე ცვლილებებს, როგორსაც კვების კალორიულობის მნიშვნელოვანი შემცირების დროს. სწორედ ასეთი დიეტა რეალურად უწყობს ხელს სიცოცხლის გახანგრძლივებას.

მსგავს ეფექტს ავლენს მეორე კარგად ცნობილი პრეპარატი — მეტფორმინი. იმით მკურნალობენ შაქრის დიაბეტს, იგი ამცირებს შაქარს სისხლში, გულ-სისხლძარღვთა და კიბოს ზოგიერთი სახეობის დაავადებათა რისკს.

ჩვენ ანალიზი გავუკეთეთ სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ დიდ ოდენობას და მოვამზადეთ ზოგიერთი იმ ცნობილი სამკურნალო პრეპარატის სია, რომლებსაც შეუძლიათ გაზარდონ ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ექსპერიმენტში.

### ვუმკურნალოთ თუ არა?

**ძნელად რომ შეიძლებოდეს ყველა ამ პრეპარატის გამოყენება სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის. მაგალითად, რაპამიცინი, რომელსაც ორგანოების ტრანსპლანტაციის შემდეგ იყენებენ, ღირს ძალიან ძვირი და აქვს სერიოზული თანმდევი ეფექტები, ყველა სხვა რამესთან ერთად იგი ზრდის ქოლესტერინს**. მაგრამ ამ საშუალებათა შორის არის პრეპარატები, რომლებიც არა მხოლოდ იაფია, არამედ საკმაოდ უსაფრთხოც, რომ გამოვიყენოთ ძალიან ფართოდ, და მათ შორის სიცოცხლის გასახანგრძლივებლადაც. აი, ის კი ჯერ კიდევ საკითხავია, დავუნიშნოთ თუ არა ისინი ჯანმრთელ ადამიანებს. მაგრამ ზოგიერთ პრობლემასთან დაკავშირებით ისინი სულაც არ იქნებიან ზედმეტი. რა წამლებია ესენი? მაგალითად, ჰიპერტონიის მკურნალობისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეპარატია ანალაპრილი (მას ბევრი კომპანია უშვებს სხვადასხვა სახელწოდებებით). იგი ადვილად გადაიტანება და უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ასეთი ტიპის პრეპარატები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსაზღვრე წნევის ადამიანებისთვისაც კი: ჩვეულებრივად ამ მდგომარეობას მკურნალობენ უწამლებოდ — ექიმები ურჩევენ, დაიკლონ წონაში, შეცვალონ ცხოვრების წესი და უარი თქვან იმ პროდუქტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ წნევის აწევას.

ალბათ, ყველაზე პოპულარულია პრეპარატი მეტფორმინი, მას ძალიან აქტიურად სწავლობენ ამჟამად მსოფლიოში: „ჩვენს ლაბორატორიაში 2005 წელს ექსპერიმენტში პირველად ვაჩვენეთ, რომ მეტფორმინი ახანგრძლივებს ცხოველთა სიცოცხლეს და იცავს მათ კიბოსგან, — ამბობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სანკტ-პეტერბურგში ნ.პეტროვის სახელობის კანცეროგენეზისა და დაბერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ვლადიმირ ანისიმოვი. — შემდეგ ეს გაიმეორეს მრავალ გამოკვლევაში მსოფლიოში და დაადასტურეს ადამიანებზე დაკვირვებებში. მეტფორმინი 25-40 პროცენტით ამცირებს კიბოს განვითარების რისკს დიაბეტით დაავადებულ, ხანდაზმულ ადამიანებში და სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მან ონკოლოგიური დაავადებისგან გადაარჩინა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე რომელიმე სხვა პრეპარატმა.

დაწყებულია კვლევები მის შეფასებაზე, როგორც საშუალებაზე სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, თუმცა, ეს მაჩვენებელი შეტანილი არ არის ოფიციალურ ინსტრუქციაში. ცნობილმა ონკოლოგმა მაიკლ პოლაკმა ამ ცოტა ხნის წინათ ირონიულად დაწერა, რომ მეტფორმინს აქვს მხოლოდ 4 ნაკლოვანებაო: იგი იაფია, ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და მისი გამოყენება შეუძლია ყველას. ჩვენ კიდევ ვსწავლობთ მელატონინს — ეს ეგრეთ წოდებული ღამის ჰორმონია, მას გამოიმუშავებს კიბოსმაგვარი ჯირკვალი, და იგი გავლენას ახდენს ჩვენს სადღეღამისო ბიორიტმებზე. ისიც ძალიან კარგ შედეგებს აჩვენებს“.

საინტერესოა აცეტილიცისტეინთან დაკავშირებული სიტუაცია. ჩვენთან ის დარეგისტრირებულია, როგორც წამალი, და მას უნიშნავენ ხველების დროს, რომ უფრო ადვილად გაქრეს ნახველი. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი აცეტილიცისტეინს ბიოდამატების სახით უშვებენ და იყენებენ თავისუფლად ექიმის დანიშნულების გარეშე როგორც სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, ისე შიდსით მკურნალობისთვისაც.

**ალექსანდრ მელნიკოვი**

ЗДОРОВЬЕ

### საინტერესო ფაქტები

**● ახალგაზრდობის ქცნობა უკვე 18 წლიდან იწყება. ზოგიერთი ორგანო ბერდება კიდევ უფრო ადრეც.**

**● მეცნიერებმა უკვე ისწავლეს, 10-ჯერ გაუხანგრძლივონ სიცოცხლე ჭიებს, 2-ჯერ ბუზებს, 1,7-ჯერ თაგვებს. ეს მეთოდები შეიძლება მალე გამოიყენონ ადამიანზეც.**

**● მრავალგზის რეკლამირებული საშუალებები ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად — კრემები, ვიტამინები და ა.შ. — არაეფექტურია. პირიქით, აჩქარებენ დაბერების პროცესს.**

# რძე დაგვიცავს დიაბეტისგან?

**ჭამამდე რძის შრატის მოხმარება აუმჯობესებს ინსულინის გამომუშავებას და საკვების მიღების შემდეგ სისხლში გლუკოზის დონის მკვეთრი ვარდნების ალბათობას უმცირებს პაციენტებს მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტით, ამბობენ ისრაელელი მეცნიერები.**

დიაბეტიკების სისხლში შემჩნეული გლუკოზის მკვეთრი ამაღლება პოტენციურად სახიფათოა სიცოცხლისთვის და იწვევს გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებათა, ალცჰეიმერის დაავადების, თირკმლების უკმარისობისა და ბადურის დაზიანების პროვოცირებას.



მკვლევარებმა თელ-ავივის უნივერსიტეტიდან შემოგვთავაზეს, თავიდან ავიცილოთ სისხლში გლუკოზის რყევების საფრთხე ჭამამდე შრატის იმ ცილის კონცენტრატის მიღებით, რომელიც რძის ფაზის წყლიდან გამოიყოფა.

რძის შრატი ზრდის კუჭ-ნაწლავის ჰორმონს, რომელიც სტიმულს აძლევს ინსულინის სეკრეციას და თავიდან გვაცილებს სისხლში გლუკოზის მკვეთრ ამაღლებას ჭამის შემდეგ. მეცნიერთა სიტყვებით, რძის ცილის მოქმედება ჰგავს თანამედროვე დიაბეტის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედებას.

**ინფორმაციას კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანანა შაშიაშვილი:**

— ისრაელელი ექიმების დაკვირვება საკმაოდ საინტერესოა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კვების გადამუშავების სისტემისა და კუჭნაწლავთა ტრაქტის ჰორმონების მნიშვნელობას ნახშირწყლების მიმოქცევის რეგულაციაში.

რძის შრატი შეიცავს ცილებს, რომლებიც, ალბათ, სტიმულს აძლევენ კუჭ-ნაწლავთა ჰორმონების პროდუქციას. რამდენად დადასტურდება ფართო კლინიკურ პრაქტიკაში ისრაელელი მეცნიერების დაკვირვებები, 15 ავადმყოფზე რომ აწარმოებდნენ, მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ის, რომ ფარმაკოლოგიური პრეპარატები, რომელთა მიზანიცაა კუჭ-ნაწლავთა ჰორმონის გამომუშავების სტიმულირება, ეფექტიანად ამცირებს შაქარს სისხლში, ეს უდავოა.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**— ეს ჩვენი მიხო უბრალოდ აუტანელი გახდა, — ეწუწუნება მარო ქმარს თავიანთ ვაჟიშვილზე, — მხოლოდ სხვადასხვა იდიოტების სისულელეებს უგდებს ყურს. ძალიან გთხოვ, დაელაპარაკე!!!**

* * *

**რა კარგია ქალობა: დაბრუნდი სამსახურიდან: სწრაფად მიალაგე ბინა, გარეცხე, დააუთოვე, მაღაზიაში გაიქეცი, ვახშამი მოამზადე, ჭურჭელი გარეცხე და მორჩა! მერე აკეთე, რაც გინდა!**

* * *



**— და, რაც მთავარია, უნდა დაიცვათ წოლითი რეჟიმი, — ეუბნება ექიმი თავის პაციენტ მეძავს.**

**— ესე იგი, მუშაობა შემიძლია?**

* * *

**მას შემდეგ, რაც კიევის მერად ყოფილი მოკრივე აირჩიეს, ეს ქალაქი მუდმივად ნოკაუტშია.**

* * *

**სამწუხაროდ, ჩვენს გზებზე ასფალტი თოვლზე უფრო სწრაფად დნება.**

* * *

**მე წარმოუდგენლად კომუნიკაბელური კაცი ვარ და მუდამ მზად გახლავართ დიალოგისთვის.**

* * *

**— კვლავ დივანზე კოტრიალობ, არა? — საყვედურობს ცოლი ქმარს.**

**— სამაგიეროდ, შენ იცი, სად შეიძლება მუდამ ჩემი პოვნა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24